27. ავსტრია	0	1	1	2
27. ბაჰამები	0	1	1	2
27. ბრაზილია	0	1	1	2
31. ალბანეთი	0	1	0	1
31. ნორვეგია	0	1	0	1
31. თურქეთი	0	1	0	1
31. ეიმეტამი	0	1	0	1
31. მოლდოვეთი	0	1	0	1
31. სლოვენია	0	1	0	1
37. უკრაინა	0	0	4	4
38. სომხეთი	0	0	3	3
38. ბაჰამელი	0	0	3	3
40. ბელარუსი	0	0	2	2
40. ინდონეზია	0	0	2	2
40. ტაივანი	0	0	2	2
43. არგენტინა	0	0	1	1
43. ხორვატია	0	0	1	1
43. მაროკო	0	0	1	1
43. ტაჯიკეთი	0	0	1	1
43. ტონგო	0	0	1	1
43. უზბეკეთი	0	0	1	1
43. ბულგარეთი	0	0	1	1
43. ეგვიპტე	0	0	1	1

პლაჟბურთი

ბოლო ოდნავ დაიჭკბეს

პლაჟბურთის ქართულმა წყვილებმა პეკინში პირველი გამარჯვება მოიპოვეს: **საქა-რთველომ** და **გეორგიამ** ჯგუფურ ტურნირში ბოლო, საჭირო შეხვედრებში იმარჯვეს ამ გამარჯვებით ორივე წყვილმა თავიანთ ჯგუფებში მესამე ადგილი დაიკავა და დღეს გაორკეცეთ, პირდაპირ მერვედფინალში ითამაშებენ თუ დამატებითი საკვალიფიკაციო შეხვედრის გამართვა დასჭირდებათ. შეგახსენებთ, რომ მერვედფინალში ყოველგვარი მერჩევის გარეშე ორი საუკეთესო მესამეადგილოსანი გადის დანარჩენი ოთხი კი ერთმანეთში გაარკვევს ორი მერვედფინალისტის ვინაობას.

ჩვენი წყვილებიდან ბევრად რთული ამოცანის ნინამე საქა-რთველო იდგა: მეტოქედ საკმაოდ ძლიერი რუსული დუეტი - **შირიაევა-ურიადოვა**ს შემადგენლობით - ჰყავდათ. საქა-რთველომ პირველი სეტი პირნმინდად ნაადო -10:21. თუმცა მომდევნო სეტებში არნახული თავდადება და ბრძოლისუნარიანობა გამოიჩინა და ჯერ ანგარიში გაათანაბრა, მერე კი ტაი-ბრეიკში მოუმთავრა საქმე - 22:20; 15:12. რუსები ოლიმპიადას გამოეთხოვნენ.

ამავე ჯგუფში ბრზილიური დუეტი - **ანა პაულა-ლარისა** მოუღიოდნელად დამარცხდა ავსტრალიელებთან - **ბარნეტი-კუკი** - 0:2 (21:23, 21:23).

იოლი ბრძოლა გადახდა გეორ-გიას. ჩვენმა ფრენბურთელებმა ოლიმპიადაზე ყველაზე სუსტი ანგოლური წყვილი - **ფერნანდესი-მორაიში** - უპრობლემოდ დაამარცხეს - 21:14, 21:13.

ბესიკ ჯანგბავაძე

ხათუნა ნარიმანიძე და თამარ ბალავაძე

მეგობრები

შეხვედრა იამასიტასთან

ქიუდოს იაპონელ ლეგენდა **იოსუპირო იამასიტას** ბოლო ოლიმპიადებზე ყველგან ვეხვდებით. მას ყოველთვის უხარია ქართველებთან შეხვედრა. ამჟამადაც გაიხარა.

"სანდრო", - მოისმა ტრიბუნიდან. ვხედავთ, იამასიტა ზის თანამემამულეებთან ერთად, ძიუდოისტთა ტურნირზე. წამოდგა, მოგვეალმა, ნინა რიგს გადმოაბიჯა და ცარიელი სავარძლებისკენ მიგვიითითა. უმალვე, დაბობმილი გორო და **შოთა ჩოჩიშვილი** ახსენა. შენუხებული ჩანდა. მოიკითხა ქართველები, თანაგვიგრძნო, შეგვიქო **ირაკლი ცირეკიძე**.

"გამარჯობა", - მოგვეალმა უკანა რიგიდან მეორე იაპონელი, რომელიც, როგორც ჩანს, ბევრჯერაა საქართველოში ნამყოფი. იაპონელ მეგობრებს ქართული სუვენირები ვუსახსოვრეთ და დავემშვიდობეთ. თუმცა, ოლიმპიადაზე, ალბათ, კიდევ შევხვდებით - პეკინშიც და სხვაგანაც...

ალექსანდრე კოტორაშვილი და იასუპირო იამასიტა

თამარ ბალავაძის ფოტო

შენ რას იტყვი, კოლეგავ?

კრიზისიდან გამოვდივართ

ოლიმპიადაზე აზრის გამოხატვა ჩვენს კოლეგებს - შინაურებსაც და უცხოელებსაც ვთხოვეთ. ჯერ, ცხადია, თავო და თავოო... მაშ ასე, რუბრიკას **თამარ ბალავაძესთან** ინტერვიუთი ვხსნით.

„ამა რა გითხრათ, ყველანი ერთნაირად თავ ზარდაცემულები ვიყავით საქართველოში დატრიალებული ამბების გამო. უეცრად დაფიცალეთ ემოციებისგან. ახლა ნელ-ნელა გონს მოვდივართ, რაც ოლიმპიურ ტურნირებში ჩვენს გამოსვლებსაც ეტყობა. 13 აგვისტო ნამდვილად შთამბეჭდავი აღმოჩნდა. მინდა, ყველას დღეს მოპოვებული წარმატება მივულოცო. ასევე, ჩვენს ფალავნებს, პლაჟბურთელებს - რუსეთის ნაკრებთან გამარჯვება...

ეჭვიც არ მეპარება, რომ ამ ოლიმპიადაზე ჩვენი ათლეტები თავის სიტყვას ისევ იტყვიან."

სროლა

მეორე მედალს ველარ შესწვდა

ოთვიდან **ნინო სალუქვაძემ** კარგად დაიწყო გამოსვლა. პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი, 25 მეტრიდან სპორტული პისტოლეტით სროლაში გამოდიოდა. პირველი სერიის შემდეგ, ნინო 41 მსროლელს შორის მე-4 ადგილზე იყო, თანაც ლიდერს მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩებოდა, მაგრამ სროლების მეორე სერიამ ნინო ფინალს მიღმა დატოვა. სალუქვაძემ სულ 580 ქულა დააგროვა, რაც მხოლოდ მე-16 ადგილს გასწვდა. ნაშუადღევს ქართველი მსროლელი იარაღმა დაალალატა.

ნინო სალუქვაძე

Beijing 2008

ცურვა

თერთმეტგზის!

მაიკლ ფელპსი ლეგენდების ლეგენდა გახდა

მაიკლ ფელპსი ოლიმპიადების ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენი გახდა. გუშინ, 23 წლის ასაკში ლეგენდად ქცეულმა ამერიკელმა მოცურავემ ორ ფინალში მიიღო მონაწილეობა, ორივე მოიგო და კარიერაში ოქროს 11 მედალი დაუგროვდა.

პეკინის ოლიმპიადის მეხუთე დღემ ყველას დაანახვა, თუ ვინ იქნება თამაშების მთავარი მოქმედი პირი. ფინალების დაწყებამდე, ამერიკელის ანგარიშზე 9 ოქრო მოდიოდა, რითაც ის მსოფლიო სპორტის ლიდერებს - საბჭოთა ტანმოვარჯიშეს **ლარისა ლატინინას**, ფინელ მორბენალ **პაავო ნურმის**, ამერიკელ მოცურავე **მარკ სპიცსა** და ამერიკელ მძლეოსანან **კარლ ლუისს** უტოლდებოდა.

როგორც გითხარით, მაიკლ ორ ფინალში უნდა მიიღო მონაწილეობა. პირველი იყო 200 მეტრი ბატერფლაით ცურვა, სადაც ამერიკელის მთავარ მეტოქედ უნგრელი **ლასლო ჩეხი** მიიჩნეოდა. პეკინში ერთხელ უკვე შედგა ამ ორი მოცურაკის დუელი - 400 მეტრზე კომპლექსურში ჩეხმა მეორე ადგილი დაიკავა, თუმცა სამ ნამზე მეტი ნააგო ფელპსთან. ამჯერად უფრო დაძაბული ბრძოლა იყო. მართალია, ამერიკელი თავიდანვე დანწყრდა, მაგრამ ლასლომ მოდუნების საშუალება არ მისცა და ასეთი კონკურენციის წყალობით, ფელპსმა ახალი მსოფლიო რეკორდით მოიპოვა მორიგი ოქროს მედალი.

სწორედ ამ გაცურვის შემდეგ გახდა ამერიკელი ოლიმპიადის ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენი - აკმაღე ოქროს ათი მედალი არავის არსებულს მოუგია.

ეს ერთი ამოცანა ფელპსმა წარმატებით გადაწყვიტა, მაგრამ მას კიდევ ერთი რეკორდი რჩება დასამზობი. ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ "ფენომენი" მარკ სპიცის მუდმივ რეკორდს უმიზნებს - ერთ ოლიმპიადაზე რვა ოქრო უნდა მოიგოს.

ფელპსი გრაფიკს სტაბილურად იცავს. მეხუთე დისციპლინა, რომელზეც ის სტარტზე გავიდა, 4x200 მეტრი თავისუფალი სტილით ესტაფეტა იყო. ეს ის დისციპლინაა, სადაც მაიკლ მხოლოდ საკუთარ თავზე არ არის დამოკიდებული. გუშინდელ მიმოხილვაში ვწერდით იმის შესახებ, თუ რა სასწაულის წყალობით მოიგეს ამერიკელებმა 4x100 მეტრზე ესტაფეტა. **ჯეისონ ლეჟაკის** გმირობა რომ არა, ფელპსს რვა ოქროს მოგების შანსი დაეკარგებოდა.

ამჯერად პეკინის თამაშების გმირს ნერვიულობამ არ მოუნია. ის პირველი ნავიდა დისტანციაზე და როცა თავისი წილი 200 მეტრი დაასრულა, ამერიკის ნკარები უახლოეს მდევარს 2 ნამზე მეტს უგებდა. დანარჩენი ტაქტიკის საქმე იყო. ესტაფეტის სხვა მონაწილეებს, უბრალოდ, უნდა შეენარჩუნებინათ ეს უპირატესობა და ფელპსი მეხუთე ოქროს მოგებას იზეიმებდა. ამერიკელებმა უფრო მეტიც მეძლეს, მეორე ადგილზე გასულ რუსეთს ხუთ ნამზე მეტით გასხვრეს და ახალი მსოფლიო რეკორდიც დაამყარეს. თანაც ამერიკული კვარტეტი პირველი გუნდია ამ დისციპლინის ისტორიაში, რომელმაც ესტაფეტა 7 წუთზე ნაკლებ დროში გაიცურა. ფელპსმა და მისმა თანაგუნდელებმა თავისივე მსოფლიო რეკორდი 5 (!) ნამით გაიუმჯობესეს.

"ნყლის კუბში" ამ ისტორიული მოვლენის სანახავად ბევრი ვარსკვლავი მეიკრობა. აქ იყვნენ "დრიმ თიმის" ნევრები - **კობი ბრაიანტი, ლებრონ ჯეიმსი** და **კარმელო ენტონი**. ჯეიმსი ისე აღფოთოვანდა ფელპსის გმირობით, რომ სასწაფოდ გადაალო სამასხოარო ფოტო მოცურავის ფედასთან.

მაშ ასე, ფელპსს ხუთი ოქრო აქვს, თანაც ხუთჯერვე მსოფლიო რეკორდი დაამყარა. სპიცის რეკორდს სერიოზული საფრთხე დამეშქრა, რადგან მაიკლს გამჩერებელი არავინ ჩანს. თუმცა ამერიკელი პეკინში ერთი რეკორდის დამზობას მანც ვერ შეძლებს. მედლების საერთო რაოდენობით, ოლიმპიადის ყველა დროის სტატისტიკას ლატინინა ლიდერობს, რომელსაც 18 ოლიმპიური მედალი აქვს მოპოვებული, ფელპსს კი 13 მედალი დაუგროვდა, პეკინში კი კიდევ სამ დისციპლინაში აპირებს გამოსვლას. ეს არის 200 მეტრი კომპლექსური, 100 მეტრი ბატერფლეი და 4x100 მეტრი კომპლექსური ესტაფეტა. ასე რომ, მაიკლი 16 მედალს ვერ გასცდება.

■ ■ ■

ფელპსის რეკორდებმა ერთგვარად დაჩრდილა გუშინდელი დღის სხვა ფინალები, არადა, ყველა მათგანში მსოფლიო რეკორდი დამყარდა.

ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ავსტრალიელი **სტეფანი რაისი**. 400 მეტრზე კომპლექსურში გამარჯვების შემდეგ, რისმა 200 მეტრზეც მოიგო და ეს კვლავ ახალი მსოფლიო რეკორდი გააკეთა.

რაისის წარმატებები არ გამორჩენია ავსტრალიის მთავრობას. ქვეყნის საფოსტო სამსახურმა გადაწყვიტა, რაისის გამისახულებით საფოსტო მარკა გამოუშვას. აკამდე, ასეთი პატივი არც ერთ ავსტრალიელ სპორტსმენს არ ღირსებია, თვით ლეგენდარულ მოცურავე **იან ტორპსაც** კი.

რაისს ცოტათი ჩამორჩა ზიმბაბველი **კირსტი ქოვენორი**, რომელსაც პეკინში უკვე ვერცხლის სამი მედალი დაუგროვდა.

გუშინ ქალებმა კიდევ ერთი კომპლექტი 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვამ გაითამაშეს და აქაც მსოფლიო რეკორული მონაწილი გავხდით. იტალიელმა **ფედერიკა პელეგრინიმ** თავისი წინა მრწყინვა 63 მწამაედი ნამით გაუმჯობესა. ეს ევროპელების მიერ პეკინში მოპოვებული ოქროს მესამე მედალი იყო.

ქალთა შორის ორივე ფინალში გამოდიოდა და ორივეში ფავორიტად მიჩნეოდა "ქალ ფელპსად" მონათლული **კეტი პოფი**. ოლიმპიადის წინ, ამერიკელი ექვს დისციპლინაში გეგმავდა გამარჯვებას, მაგრამ პირველსავე დღეებიდან გამოჩნდა, რომ ჰოფი არ არის ოპტიმალურ სპორტულ ფორმაში. 19 წლის მოცურავემ უკვე ხუთ დისციპლინაში მიიღო მონაწილეობა და ვერც ერთხელ ოქროს მედალი ვერ მოიპოვა. გუშინდელ ფინალებში მან ორივე მეოთხე ადგილი დაიკავა.

■ ■ ■

გვერდს ვერ აუვლელი კაცებს შორის 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვას, სადაც ნახევარფინალური ეტაპი გაიმართა. ეს ცურვაში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟიული დისციპლინაა და აქ ძალიან სიინტერესო ფინალი გველოდება.

ნახევარფინალში ორი ფავორიტი გამოიკვეთა. პირველ გაცურვაზე ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარა ფრანგმა **ალენ ბერნარმა** - მან დისტანციი 47.20 ნამში გაიცურა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი მილოცვებს ავსტრალიელი **იმონ სალეივანი** იღებდა, რომელმაც ბერნარის დროს 15 მეასედი ნამი ჩამოაკლო. აი ასე, დაახლოებით ხუთი წუთის ინტერვალში "ნყლის კუბში" მეკრებილმა მაყურებელმა ორი რეკორდი იხილა.

აქვეა ლეგენდარული პოლანდიელი **პეტერ ვან დენ ჰო

Beijing 2008

მარჯი საქართველოს!



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

მანუჩარ კვირკველიას პირველი ხუთეულიანი

Beijing 2008

ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲙᲐᲜᲩᲔᲚᲐᲠᲐᲡ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲭᲠᲘᲣᲛᲤᲘ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘᲡ დასრულდა საგზატკეცილო ველოსრბოლის პროგრამა. გუშინ ორი მედალი დროზე ინდივიდუალურ რბოლაში გალამაზდა.

კაცებში ფავორიტის სტატუსი დაამტკიცა **ფაბიან კანჩელარამ**, რომელიც ბოლო ორი წელია ამ დისციპლინაში არავის უთმობდა მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალს. იტალიური ნარმონშობის შვეიცარიელს კოლექციაში მხოლოდ ოლიმპიური მედალი აკლდა. ათენში მან მეათე ადგილი დაიკავა, თუმცა მომდევნო ოთხ წლის განმავლობაში უდიდეს პროგრესს მიაღწია და დღეს ინდივიდუალური რბოლის უპირველეს სპეციალისტად მიიჩნევა.

გუშინდელ რბოლაში ვარსკვლავურმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. აქ იყო 2007 წლის ტურ დე ფრანსის გამარჯვებული **კონტადორი** (ესპანეთი), წლევანდელ ტურზე დროზე ორი რბოლის მომგები **შუმახერი** (გერმანია), ავსტრალიელი **ევანსი** და სხვები. მაგრამ მაინც, ბევრს არ ეპარებოდა ექვი, რომ გამარჯვება კანჩელარას დარჩებოდა.

შვეიცარიელის ფავორიტობაში არც მაშინ შეუტანიათ ექვი, როცა პირველ საშუალედო ფინიშზე (10.4 კმ) კანჩელარა 30 წამს აგებდა ლიდერ კონტადორთან. საქმე ისაა, რომ ველოშრბოლები თავიდან აღმართზე მიდიოდნენ, აქ კი ესპანელი შვეიცარიელზე გაცილებით ძლიერია. სამაგიეროდ, როცა ტრასა გასწორდა, კანჩელარამ ეს ჩაბარჩენა გაამათლა და თავად გაუსწორ ალტერტოს 16 წამით.

შემდეგ იყო კიდევ ერთი აღმართი და შვეიცარიელი ახლა უკვე შვედ **გუსტავ ლარსონს** ჩაბარჩა (მხოლოდ 6 წამით), მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ ეს კანჩელარას კონკურენტების დროებითი წარმატება იყო. დარჩენილ 13 კილომეტრზე მომავალმა ოლიმპიორმა ჩემპიონმა ლარსონს 39 წამი მოუგო და საბოლოოდ, მისმა უპირატესობამ 33 წამი შეადგინა.

კონდატორი და ევანსი საპრიზო ადგილების მიღმა დარჩნენ, მესამე ადგილი კი ამერიკელმა **ლევი ლაპპპაიმერმა** მოიპოვა. ეს ის ველომრბოლია, რომელმაც მარშნდელ ტურ დე ფრანსზე ინდივიდუალური რბოლა მოიგო, საერთო ჩათვლაში კი მესამე ადგილი დაიკავა.

. . .

ქალებმა კაცებზე ორკერ ნაკლები დისტანცია გაიარეს. აქ გამოკვეთილი ფავორიტი არ ყოფილა - ოქროზე პრეტენზიას რამდენიმე ველომრბოლი აცხადებდა. მათგან ყველაზე კარგად მომზადებული **კრისტინ არმსტრონგი** აღმოჩნდა და ამერიკელმა კარიერაში პირველად მოიპოვა ოლიმპიური ოქრო. ოთხი წლის წინ, ათენში ის მხოლოდ მერვე მივიდა ფინიშთან.

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა დისტანციის პირველი ნახევი ბრიტანელ **ემა პოლთან** ნააგო. აქაც თავიდან ველომრბოლებს აღმართის გაგლაშ მოუნიათ და აქ უფრო სწრაფი სწორედ პოლი აღმოჩნდა. მაგრამ არმსტრონგმა დანაკარგი დისტანციის სწორ ეტაპზე გააბათილა და საბოლოოდ, საკმაოდ ბეერი - 24 წამი მოუგო ბრიტანელს.

პოლის მიერ ვერცხლის მედალს მოპოვება მოულოდნელობად ჩათვალა. მინიატურული (157 სმ, 50 კგ) ბრიტანელი 26 წლისაა და ველოსპორტში ვარჯიში მხოლოდ სამი წლის წინ დაინყო და აქამდე საერთაშორისო ტურნირებში მედალი არ ჰქონდა მოგებული.

ძალიან საინტერესო იყო მესამე ადგილისთვის ბრძოლა. ბრინჯაო ნილად ხვდა შვეიცარიელ **კარინ ტურიგს**, რომელმაც ათენში ნაჩვენები შედეგი გაამეორა. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ლეგენდარული **ჯანი ლონგოს** კონკურენციას გაუძლო. 49 წლის(!) ფრანგს, რომელიც ზედიზედ მეშვიდე(!) ოლიმპიადაზე გამოდის, ზუსტად ერთი წამი დააკლდა კარიერაში მეხუთე ოლიმპიური მედლის მოპოვებამდე.





ᲙᲐᲚᲗᲝᲡᲜᲝᲑᲐ

ᲩᲘᲜᲔᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲫᲚᲘᲔᲠᲘᲐ

ᲩᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ სრული დომინირებით მიმდინარეობს ძალოსნობის ტურნირი. განსაკუთრებულად დიდი უპირატესობით ამარცხებენ კონკურენტებს მსაპინძელი ქალები, რომლებსაც ჯერჯერობით ყველა ნონით კატეგორიაში აქვთ მოპოვებული ოქროს მედლები.

გუშინ, 69 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ფანტასტიკურად იასპარეზა **ჩონპონ ლიუმ** - მან ატაცებიც და აკვრაშიც მსოფლიო რეკორდები დამყარა და უაღლოეს მდეგარს ერთბაშად 31(!) კილოგრამით გაუსწორ.

პირველ დისციპლინაში ლიუს კონკურენტებმა 115 კილოგრამაზე დაამთავრეს ასპარეზობა. ჩინელმა კი პირველ ცდაზე ხუთი კილოგრამით მეტი შეუკვეთა და იოლად ასნი მტაცნა. შემდეგ იყო 125 კილოგრამი და ბოლოს, ლიუმ მსოფლიო რეკორდი დაფიქსირა - 128 კილოგრამი.

ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ მეორე დისციპლინაში მასპინძელი ძალოსანი 13-კილოგრამიან უპირატესობას გაფლანგავდა. ბუნებრივია, სასნაული არ მოხდა. იმ დროს, როცა რუსმა **სლიუვენკომ** მხოლოდ 140, ხოლო უკრაინელმა **დავიდოვამ** 135 კილოგრამი დასძლიეს, ლიუმ პირველ ცდაზე 145-კილოგრამიანი მტაცნაა ასნია და ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. ჩინელს არც აქ გასჭირვებია მსოფლიო რეკორდის დამყარება (158 კგ) და როგორც გითხარით, არნახული უპირატესობით გაიმარჯვა.

. . .

მასპინძლები ძალიან ახლოს იყვნენ მეშვიდე ოქროს მოპოვებასთან. 77 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში, ჩინელი **პონგალო ლი** პირველი დისციპლინის შემდეგ 5 კილოგრამით უგებდა კორეელ **ჯაე-იუკ სას**. მაგრამ ყველაფერი აკვრის შემდეგ შეიცვალა. ლის ხელი მოეცარა და 198 კილოგრამზე შეჩერდა, კორეელმა კი პირველსავე ცდაზე 201 კილოგრამი აიღო, მეორეზე 203. შესაბამისად, ძალოსნებმა ერთნაირი მაჩვენებელი დააფიქსირეს, მაგრამ ოქროს მედალი სას ეერგო, რადგან ასპარეზობის წინ ჩატარებულმა ანონგამ აჩვენა, რომ ის ჩინელზე მსატე იყო.

წესით, ლი და სას ბრძოლაში მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონი, თურქი **თანერ საგირი** უნდა ჩარეულიყო, მაგრამ მან ატაცები თავიდანვე 165 კილოგრამი შეუკვეთა, სამივე ცდა გააფუჭა და მედლისთვის ბრძოლაც გამოეთიშა.

ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ ᲙᲐᲚᲗᲝᲡᲜᲝᲑᲐᲨᲘ				
	Ო	Ვ	Ბ	ᲯᲐᲛᲘ
1. ჩინეთი	6	1	0	7
2. ᲡᲐᲠᲐᲒᲝᲕᲐ	1	1	0	2
3. ᲩᲠ. ᲙᲝᲠᲔᲐ	1	0	1	2
4. ᲩᲐᲠᲚᲘᲖᲓᲗᲝ	1	0	0	1
5. ᲠᲣᲡᲔᲗᲘ	0	2	0	2
6. ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ	0	1	0	1
6. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲘ	0	1	0	1
6. ᲑᲐᲰᲐᲜᲔᲑᲘ	0	1	0	1
6. ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ	0	1	0	1
6. ᲕᲘᲢᲜᲐᲛᲘ	0	1	0	1
11. ᲜᲘᲓᲔᲠᲚᲐᲜᲓᲘ	0	0	2	2
11. ᲩᲔᲩᲜᲔᲗᲘ	0	0	2	2
11. ᲛᲝᲠᲝᲙᲝᲗᲘ	0	0	2	2
14. ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ	0	0	1	1
14. ᲣᲙᲠᲐᲘ�ნᲐ	0	0	1	1





ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ ᲠᲑᲝᲚᲐ (47.3 ᲙᲛ)

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ

1. ფაბიან კანჩელარა (შვეიც) - 1:02:11.43; 2. გუსტავ ლარსონი (შვედ) - +33.36; 3. ლევი ლაპპპაიმერი (აშშ) - +1:09.68; 4. ალბერტო კონტადორი (ესპ) - +1:18.08; 5. კეიდელ ევანსი (ავსტრა) - +1:23.54; 6. სამუელ სანჩესი (ესპ) - +2:25.81; 7. სვეინ ტუფტი (კან) - +2:28.01; 8. მაიკლ როჯერსი (ავსტრა) - +2:35.42; 9. სტეფ კლეივნტენი (ბელ) - +2:47.99; 10. რობერტ გესინკი (ჩეხ) - +2:51.45.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ ᲠᲑᲝᲚᲐ (25.5 ᲙᲛ)

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ

1. კრისტინ არმსტრონგი (აშშ) - 34:51.72; 2. ემა პოული (ბრიტ) - +24.29; 3. კარინ ტურიგი (შვეიც) - +59.27; 4. ჯანი ლონგო (საფ) - +1:00.90; 5. კრისტინ ტორნბურნი (აშშ) - +1:02.44; 6. ჯუდით არნდტი (გერ) - +1:08.05; 7. კრისტაინ შიიდერი (ავსტრია) - +1:29.03; 8. პრისკა დოპმანნი (შვეიც) - +1:36.07; 9. ზოლტა ზაბროოვა (ყაზ) - +1:37.75; 10. სუზან ლიუნგსკოგი (შვედ) - +1:41.78.

ᲒᲐᲪᲘᲚᲘ ᲬᲠᲔᲚᲘ

ᲐᲘᲜᲒᲠᲔᲚᲘᲐᲜᲘ. 25 8

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ

1. ინ ჩენი (ჩინ) - 793.4 (ოლიმპიური რეკორდი); 2. გუნდეგმაა ატრიადი (მონ) - 792.2; 3. შუხბა�დორნსუერენი (გერ) - 789.2; 4. ფენგი ფეი (ჩინ) - 787.9; 5. მარია გროზდვეა (ბულ) - 786.6; 6. იონ-სუკ ია (ჩრ. კორ) - 783.4; 7. ტანიაპორნ პრუკსაკორნი (ტაილ) - 777.7; 8. ლუისა მაიდა (სალ) - 774.0... 16. ნინო სალუქვაძე (საქ) - 580.

ᲡᲐᲠᲒᲔᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲐᲠᲒᲔᲚᲘᲐᲜᲘ

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ. ᲒᲐᲜᲐᲠᲒᲔᲚᲘᲐᲜᲘ

1. ჩინეთი (ჩენგი, ᲨᲣ, ყიანი, ლი, ანი, ლენგი) - 188.900; 2. აშშ (ჯონსონი, ლიუკინი, მემეული, ᲨᲣᲛᲣკი, საკრამენტე, სლოუნი) - 186.525; 3. რუმინეთი (ნისტორი, იზბასა, აკატრინეი, გრიგორე, დრაგიო, ტამარუანი) - 181.525; 4. რუსეთი - 180.625; 5. იაპონია - 176.700; 6. ავსტრალია - 176.525; 7. საფრანგეთი - 175.275; 8. ბრაზილია - 174.875.

ᲙᲐᲚᲗᲝᲡᲜᲝᲑᲐ

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ. 77 ᲙᲒ

1. ჯაეპიოუკ სა (კორ) - 366 (163+203); 2. ჯონგლი ლი (ჩინ) - 366 (168+198); 3. ვეეორგ დავითიანი (სომ) - 360 (165+195); 4. ხვანგონ კიმი (კორ) - 355 (155+200); 5. ოლეგ პერეპეენენოვი (რუს) - 354 (162+192); 6. ივან კაბბარი (კუბ) - 353 (157+196).

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ. 69 ᲙᲒ

1. ჩონპონ ლიუ (ჩინ) - 286 (128+158); 2. ოქსანა სლივენკო (რუს) - 255 (115+140); 3. ნატალია დავიდოვა (უკრ) - 250 (115+135); 4. ლეიდი სოლისი (კოლ) - 240 (105+135); 5. აბირ ხალილი (ეგვ) - 238 (105+133); 6. ტუილა მედინა (კოლ) - 230 (106+124); 7. ანნა ბატუშკა (ბელრ) - 225 (105+120); 8. რიკა საიტო (იაპ) - 209 (87+122).

ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝᲑᲐ

3 ᲐᲒ. ᲡᲘᲜᲥᲠᲝᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ

1. ვენ ვანი/კაი კინი (ჩინ) - 469.08; 2. დმიტრი სუტინი/იური კუნაკოვი (რუს) - 421.98; 3. ილია კვაშა/ოლექსეი პრიგოროვი (უკრ) - 415.05; 4. ერის კოლეილი/ჯეკინ ტარანტინო (აშშ) - 410.73; 5. ალექსანდრ დესპატი/არტურო მირანდა (კან) - 409.29; 6. მაკლო როზენბერგი/სამა კლანი (გერ) - 402.84; 7. ნიკოლას რობინსონ-ბეიკერი/ბენჯამინ სვანი (ბრიტ) - 402.36; 8. სკოტ რობერტსონი/რობერტ ნიუბერი (ავსტრა) - 393.60.

Beijing 2008

აგნიკარი ჭიდაობა

კაცები. 66 კგ

ნინაძარი

მიხაილ სიამონაუ (ბლრ)-ალექსანდრ კაზაკევიჩი (ლიტ) 3:1; ტამაშ ლოერინცი (უნგ)-არმან აფიკიანი (სომ) 3:1; ალი მოჰამადი (ირან)-მინჩულ კიმი (კორ) 3:1; სტივ გენო (საფ)-ალენ მილიანი (კუბ) 3:1.

1/8 უნიკალი

მიხაილ სიამონაუ (ბლრ)-ალი მოჰამადი (ირან) 3:1; კანატბეკ ბეგალიევი (ყირ)-ჯეიკ დიმლერი (აშშ) 3:1; ნიკოლაი გერგოი (ბულ)-სერეგ ეროკლუ (თურ) 3:1; არმენ ვარდანიანი (სომ)-ფარიდ მანსუროვი (აზე) 3:0; სტივ გენო (საფ)-ტამაშ ლორინცი (რუმ) 3:1; ალი ინანანი (ჩინ)-იონ ციალინ პანიიტი (რუმ) 3:1; სერგეი კოვალენკო (რუს)-მოჰამედ სერირი (ალჟ) 4:0; დარნან ბაიახმეტოვი (ყაზ)-მარკუს ტატენერი (გერ) 3:1.

1/4 უნიკალი

სტივ გენო (საფ)-მიხაილ სიამონაუ (ბლრ) 3:1; კანატბეკ ბეგალიევი (ყირ)-არმენ ვარდანიანი (სომ) 3:1; ნიკოლაი გერგოი (ბულ)-სერეგი კოვალენკო (რუს) 3:1; დარნან ბაიახმეტოვი (ყაზ)-ალი ინანანი (ჩინ) 3:1.

1/2 უნიკალი

კანატბეკ ბეგალიევი (ყირ)-ნიკოლაი გერგოი (ბულ) 3:1; სტივ გენო (საფ)-დარნან ბაიახმეტოვი (ყაზ) 3:1.

ბრ-ე ადგილისთვის

არმენ ვარდანიანი (სომ)-ნიკოლაი გერგოი (ბულ) 3:1; მიხაილ სიამონაუ (ბლრ)-დარნან ბაიახმეტოვი (ყაზ) 3:1.

უნიკალი

სტივ გენო (საფ)-კანატბეკ ბეგალიევი (ყირ) 3:1.

კაცები. 74 კგ

ნინაძარი

არსენ ჯულფაჯიანი (სომ)-ელოდიმერ რაკაკინი (უკრ) 3:1; ვარტერ ოლსენი (ბრაზ)-ვარტან მაფსესი (დან) 3:1; პეტერ ბაში (უნგ)-ტე ინ ფატკელური (ბრაზ) 3:1; ილგარ ბდულეი (აზე)-სერეგ თუფეშენი (თურ) 3:1.

1/8 უნიკალი

მანუჩარ კვირკველია (საქ)-ერიკ ტოდ გენო (საფ) 3:0; ვარტერეს სამურგაშვი (რუს)-ილგარ აბდულეი (აზე) 5:0; იონგსიან ჩანი (ჩინ)-ივაონ იანაკიევი (ბულ) 3:1; რომან ფელიციანი (ყაზ)-ჰასან ბაასანი (ავსტრა) 3:1; პეტერ ბაში (უნგ)-არსენ ჯულფაჯიანი (სომ) 3:1; სიქსტო ბარერა (პერ)-ვალდემარს ვენეკაიტისი (ლიტ) 3:1; ალეკ მიხაილოვიჩი (ბლრ)-ჯულიან კეიტი (პოლ) 3:1; კონსტანტინ შნაიდერი (გერ)-მესაუდ ზეგდალი (ალჟ) 3:1.

1/4 უნიკალი

მანუჩარ კვირკველია (საქ)-კონსტანტინ შნაიდერი (გერ) 3:0; პეტერ ბაში (უნგ)-ვარტერეს სამურგაშვი (რუს) 3:1; იონგსიან ჩანი (ჩინ)-სიქსტო ბარერა (პერ) 3:1; ალეკ მიხაილოვიჩი (ბლრ)-რომან ფელიციანი (ყაზ) 3:1.

1/2 უნიკალი

იონგსიან ჩანი (ჩინ)-ალეკ მიხაილოვიჩი (ბლრ) 3:1; მანუჩარ კვირკველია (საქ)-პეტერ ბაში (უნგ) 5:0.

ბრ-ე ადგილისთვის

ივაონ იანაკიევი (ბულ)-ალეკ მიხაილოვიჩი (ბლრ) 3:1; კრისტოფ გენო (საფ)-პეტერ ბაში (უნგ) 3:1.

უნიკალი

მანუჩარ კვირკველია (საქ)-იონგსიან ჩანი (ჩინ) 3:0.

აკადემიური ნიჩბოსნობა

ერთადგილიანი (ნაკადი ნიჩბით)

კაცები. 1/2 უნიკალი

I ნახევარფინალი. 1. ხოეფენ ვანგი (ჩინ)* - 1:50.38; 2. მიშელ ბერტენი (ამშ)* - 1:50.60; 3. მარიოლიკა ვანაკოვა (რუს)* - 1:49.92; 4. გაბრიელი ბაშელი (იტა) - 1:54.59; 5. ჰიპა სვეიდი (ავსტრა) - 1:52.45; 6. ფრიდა სვენსონი (შვედ) - 1:53.06.

II ნახევარფინალი. 1. ეკატერინა კარატჩევი (ბელრ)* - 1:49.02; 2. რიკშანა ნეიოოკა (ბულ)* - 1:50.17; 3. ჯულია მიხალსკა (პოლ)* - 1:51.47; 4. ემა ტეიგი (ზელ) - 1:50.43; 5. ოკა ობრადოვიჩი (სერ) - 1:53.38; 6. ხოფი ბალმარი (საფ) - 1:51.82.

ერთადგილიანი (ნაკადი ნიჩბით)

კაცები. 1/2 უნიკალი

I ნახევარფინალი. 1. ლუსი კარონენი (შვედ)* - 1:41.65; 2. ოლივ ფუფტე (ნორ)* - 1:42.95; 3. ტომ მაიფენი (ამშ)* - 1:41.38; 4. ბრონდი ბაკერი (აკრ) - 1:41.12; 5. ანდრე ვონარბურგი (შვეიც) - 1:41.95; 6. პეტერ პარკასპალი (ავსტრა) - 1:40.41.

II ნახევარფინალი. 1. ინდერი შინეკი (ჩეხ)* - 1:43.00; 2. ალან კვანსენი (ნრგ)* - 1:42.41; 3. მეკ ფრანდელი (ზელ)* - 1:42.78; 4. ოთანის ხრისტეკ (სპა) - 1:47.23; 5. კენ ოუროოკა (აშშ) - 1:45.29; 6. მიხდაუკა გრისკონინი (ლატ) - 1:45.59.

ორადგილიანი (ნაკადი ნიჩბით)

კაცები. 1/2 უნიკალი

I ნახევარფინალი. 1. კანადა (ალექსენდერ/ფრანდსენი)* - 6:34.02; 2. ზელანდია (ტეფელო/ბრიჯუოტერი)* - 6:36.05; 3. ს. ადრეკა (ალანტა/ფალ კლეტენბერგ)* - 6:37.18; 4. ჩეხეთი - 6:37.88; 5. საფრანგეთი - 6:44.29; 6. ხორვატია - 7:14.50.

II ნახევარფინალი. 1. ავსტრალია (ფინი/ფრა)* - 6:34.29; 2. აშშ (ტ. ფონდელფოილა/ ტ. ვინსელფოილა)* - 6:36.65; 3. გერმანია (ლეგანი/ფრაბოტა)* - 6:37.26; 4. სლოვენია - 6:38.96; 5. იტალია - 6:47.30; 6. ფინეთი - 6:48.65.

ოთხადგილიანი (ნაკადი ნიჩბით)

კაცები. 1/2 უნიკალი

I ნახევარფინალი. 1. ავსტრალია (ტროუმენ/ბრინანი)* - 6:21.50; 2. ლითვანია (მპაკა/ოლმ)* - 6:23.81; 3. ზელანდია (ფოდელო/ კოფინ)* - 6:24.16; 4. ხორვატია - 6:24.89; 5. ბელგია - 6:26.91; 6. გერმანია - 6:28.46.

II ნახევარფინალი. 1. საფრანგეთი (მა.ეკარდი)* - 6:18.86; 2. ესტონეთი (ტფერტენი/ოას�ონ)* - 6:21.11; 3. ბრიტანეთი (ფელფერ/ნორთოუმენ)* - 6:21.15; 4. ბულგარეთი - 6:26.62; 5. რუსეთი - 6:27.75; 6. ბელარუსი - 6:32.76.

ოცხადგილიანი

კაცები. 1/2 უნიკალი

I ნახევარფინალი. 1. ბრიტანეთი* - 5:54.77; 2. ავსტრალია* - 5:56.20; 3. საფრანგეთი - 5:56.73; 4. ზელანდია - 5:57.31; 5. აშშ - 5:57.52; 6. ირლანდია - 5:58.14.

II ნახევარფინალი. 1. სლოვენია* - 5:56.08; 2. ჩეხეთი* - 5:58.02; 3. გერმანია* - 5:58.72; 4. პოლონეთი - 6:02.46; 5. ბელარუსი - 6:02.79; 6. იტალია - 6:05.21.

* - გადადგმენ ფინალში

ბმადილოსნობა

კაცები. ინდივიდუალური

1/16 უნიკალი

ვიტენორ ოფვასი (უკრ)-მაიკლ ნარი (ავსტრა) 115:105; ალჩეკ პროკი (პოლ)-სკაი ლიმი (ავსტრა) 111:110; პოუფი მორია (ია3)-ჩენ-ჰან ვანგი (ტაივ) 114:109; ბალიანმბა ეიოროშპილეკი (რუს)-სე ოუან ჩენი (ტაივ) 109:101; რე ს

ან ზენგი (ბალიარ)-ბატა ბატალი (ფრნ) 110:103; ჩან-ჰაან ტანი (ალჟ)-ოფენენ ერგინი (თურ) 117:109; ჯეი ლეონი (კან)-ბრიდენ ფლინონი (აშშ) 113:107; ბაიპ ბაგენნი (ფრნ)-ბანაკან სანეხ ჩამია (ინდოეთ) 109:108; რაფაელ დიმბორეულა (პოლ)-ოლეკსანდრ სერგიეკი (უკრ) 111 (9):111 (8); კიფან ბაკენ (კორ)-ტენ-ვეი ეუო (ტაივ) 111:110; ფაბან კარლოს სტიეფნი (ეკუ)-ალეკსანდრ ბოდანარი (რუს) 108:101; ალენ ფილი (ბრიტ)-ბარკო ბალიაკოვი (ტატ) 110:109; ვიტენორ ოფნეფერტ (აშშ)-ალარო ფი ბეო (ტატ) 108 (9, 10):108 (9, 8); დონ-პოფენ ინი (კორ)-რობერტ ფეიფანი (აშშ) 115:106; ხეფან ჩენე ხეონნი (ბულ)-ფაბიენ მიხალოფი (ეკა) 112:111; ბაქსინმ ეუნოფ (ბლრ)-ბაგნეს ეტტერსონი (ბულ) 112:110.

ჭრიელი

48 კგ. 1/16 უნიკალი

ლუკან მაჰრეკი (პოლ)-სიიფე კარგანი (ს.-ლენინ) ამკარა უსარატკენთთან; ბორგან ფიკიანი (ყაზ)-ბაალ ბეგალი (უნგ) 7:6; ოფანნეს ფინეფილანი (სომ)-ტამაშ ესოსმანა (აშშ) 9:3; ნოინინინ ეუნაალი (ალჟ)-ფიკეიმ სუფლიოფი (უზბ) 8:7; მაჰიმ ვოე (ჩინ)-ეფერენ ბერნეფეს სალიანი (ალჟ) 11:2; ფიზნანმ ნინმეტენო (ფიმ)-სუფეიმან ვანიკე ბიდალი (ალჟ) 9:3; ამნაკ რეკნრინეენი (ტაილ)-ეკეკ ვალი (ია3) 14:2; სკარამაპა პეოუვალოოკი (ჩინ)-ბონალდ ფეოოკი (ეკა) 13:11; ალბიფერ ეფრანდეზი (ეკუ)-ბერალეთ ფოსტიფეი (ტაკუ) 12:1; ბანიო ალაბაკე (ეკა)-ბარი ტანამბორი (ფილ) 6:3; ბაუელ კარაკალი (ბრა)-რეფეთან ბეუმტაკეი (ბარ) 13:7.

51 კგ. 1/8 უნიკალი

ისმაილ აკოსტა ფეკარტე (კუბ)-ოლანდეკეკეე ფერნოფილ (ნიგ) 11:0; ალიან ბრეფფილინ (ია3)-ბალონად გაიიოეინი (ბერ) 7:3; ჯეინ მბუმბა (საფ)-ბალაკო ხუალო (კოლ) 11:5; რაჰიმ ჩაჩკეეი (რუს)-ალი ბაზაკენი (ირან) 7:3; დოენენანი ვიდალეინ (აშშ)-ანდალეზ ხიბენანი (ალჟ) 10:4; ბოაპაფენ ანდეკეი (ბარ)-ბრიდ ფოლი (ჩინ) 6:1; ოოკეპაფენ ოსოკეი (ეკა)-ოოუნნ ნოეკიანი (ჩინ) 23:4; ალეეპანეკეკ რუსი (ტა)-ვიკანარ ზუეეი (ბალ) 7:1.

+91 კგ. 1/8 უნიკალი

ეიანეოსეკეკ ვალაკოფი (უკრ)-რობერტ ალეფონსი (ეკუ) 5:3; ნოუფეკ ფოტ ( ) ( )-ბოუ ბაარაენი (ეკ) 7:5; ფოლეი ფანეკ (ჩინ)-ოოკეპაფენ ამანისანი (ბარ) 15:0; რეფლან ბერსაბეეეკეკ (ეკ)-ფეეს ბეეანნი (ავსტრა) ამკარა. უსარატკენთთან; რობერტო კამარილეკ (ტა)-ბარკო ტოამპეეეანი (ხორ) 13:1; ოსკარ ბოფეეი (კოლ)-ეკერატ ბუალეეი (ბალ) 11:5; ფეეფენ ეჩანეი (ბრა)-ალალ ბეეანნეეეეი (რუს) ამკარა. უსარატკენთთან; ანანალეკეკ ოოკეპაფენ ოსოკეი (ეკა)-ოოუნნ ნოეკიანი (ნიგ) 11:1.

ბადმინტონი

კაცები. ერთეულები

1/8 უნიკალი

მარია ოფელანტი (ინდონეზია)-სანნა ნეკუალი (ინდეოეთ) 26:28, 21:14, 21:15; ნინ ფანეკი (ჩინ)-პოგანანა (საფ) 21:8 ,19:21 ,21:19; ლან ეუ (ჩინ)-ბიეუ ვონი (მალაზია) 21:7 , 29:27; სინგფანგ სიე (ჩინ)-ეუოიეკენ ხი (კორ) 21:19, 22:20.

კაცები (ნაკადი)

1/2 უნიკალი

ჯ. ლი/კ. ლი (კორ)-მეფდა/ოფეკენენი (ია3) 22:20 , 21:15; ფუ/ოუ (ჩინ)-ვეი/ფანეკი (ჩინ) 21:19 ,21:12

კაცები (ნაკადი)

1/4 უნიკალი

ფ. ლი/ვანანი (კორ)-მასეფალოოკეკეკ (ია3) 21:12 , 18:21 , 21:19; კიო/ფუ (ჩინ)-ბანა/მაკეკეკეკეკეკ (ია3) 21:9 , 21:10; ბაასეკ/ბასმეეეე

ჟადრაკი

ჰარიკა და არიკი

20-წლამდელმა მსოფლიო ჩემპიონატზე ფინეთის სწორზე გავიდნენ მოჭადრაკეები - გუშინ მეთერთმეტე ტური ჩატარდა, დარჩა ორი. ეს ის ზლურწლია, რომლის შემდეგაც ზოგიერთმა მოჭადრაკემ შესაძლოა, საბოლოო გამარჯვების გემოც შეიგრძნოს. ასეთთა შორისაა ინდოელი **პარიკა დრონავალი.** პარიკა ორი ნლის წინ ბაიუმში 18-წლამდელთა შორის გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. მაშინ ერთობ კურიოზული ვითარება შეიქმნა: პარიკას განაცხადი 16-წლამდელებში ჰქონდა გაკეთებული - 15 ნლის იყო და 18-წლამდელებში თამაშს არ ჩქარობდა. ორგანიზატორებს შეედმა მოუვიდათ და პარიკა ორი ნლით უფროსებში ჩაწერეს; შესაბამისი პროცედურებიც ჩაატარეს და ნოლისყრაც გაამზადეს. პინდუსმა ერთი კი გაიკვირვა და ზრდილობიანად მოუთათა მასპინძლებს შეცდომაზე, მაგრამ ალაროფრის შეცვლა შეიძლებოდა და მანაც 18-წლამდელებში ითამაშა. როგორც გითხარით, ვერც სამი ნლით უფროსებმა შეუქმნეს პრობლემები და პარიკა სამშობლოში ჩემპიონის ტიტულით დაბრუნდა. დიდი მანსია, 20-წლამდელებმიც იპარეკლოს დრონავალიმ - ასეთი ფინალის შესაძლებლობა გუშინდელმა მეთერთმეტე ტურმა გამოკვეთა: შავი ფერით ხვდებოდა თურქ **კუბრა ოზთურქს.** თურქის მარაგი 7 ქულა იყო, ინდოელის - 8. უფრო გამოცდილმა და დიდი საჭადრაკო კულტურის მქონე ქვეყნის შვილმა იოლად იმარჯვა და ერთპირფენული ლიდერობა დაიბრუნა - გუშინდელი რეპორტაჟიდან გეცოდინებათ, რომ პარიკას დარად 8 ქულა უკრანიელ **მარია მუზიჩუკსაც** ჰქონდა. მარია შავებით თამაშობდა მეთერთმეტე ტურში, მაგრამ მეტოქე ბევრად სასურველი ჰყავდა - რუსი **ზოია სვეტლუხინა,** რომელსაც საკმაოდ სოლიდური რეიტინგი აქვს - 2300 და ამიტომ მოგება გაუჭირდა - მხოლოდ ყაიმს გამორჩა. ბოლოს ნინა ტურში დრონავალის თეორი ფერით უწევს თამაში, რაც მას გარკვეულ უპირატესობას, ხოლო ჩვენ იმის თქმის უფლებას გვაძლევს, რომ პარიკას ჩემპიონობას ვერავინ შეეცილება...

ჩემპიონობისთვის ბრძოლაში არცოუ მცირე შანსი ჰქონდა **მირანდა მიქაძეს,** მაგრამ თეთრებით ვერ შეძლო ჩენი **კატერინა ნემცოვას** დამარცხება. საბედნიეროდ, არც დამარცხებულა და ნახევარი ქულის მემატებით ლიდერთა შორის ადგილი შეინარჩუნა - 8 ქულა აქვს მარაგში, რაც ბოლოს ნინა ტურნიფის მესამე პოზიციის ტოლფასია.

გიმბარაჯვა **ნაზი პაიკიძემ** - შავებით დამარცხება ყაზახი საერთაშორისო ოსტატი **გულმირა დაუღეტოვა.** მოგეხსენებათ, ნაზიმ ცუდადაც დაინყო ჩემპიონატი და სასიამოვნოა, რომ ფინეთისაკენ გამოაკეთა მდგომარეობა. ამ მოგებით 7 ქულა გაუხდა და მართალია, ათეულში შესვლაც გაუჭირდება, მაგრამ რეიტინგულ ლეკნის მანინ აიცილებს თავიდან.

ასეთივე ნარმატებები ვერ თამაშობს **ქეთი ნანლაშვილი.** ქეთიმ გუშინ თეთრებით ნააგო რუმინელ **სილვია სგირჩესთან.** მარცხი ორმაგად დასანანია, რადგანაც თეთრი ფერი ქართველის არჩევი იყო. არც რუმინელია დიდი გამოცდილებისა და რეიტინგის მქონე... ასეა თუ სხვა, ნანლაშვილის მარაგში 5.5 ქულა დარჩა და თუკი ბოლო რო შეხვედრაში მაქსიმალურ შედეგს ვერ მიიღებს, რეიტინგში საკმაოდ ბევრ ქულას დაკარგავს...

თუკი გოგონებში ინდოელი პარიკა ლიდერობს, ვაჟებში გერმანელი **არიკ ბრაუნი** გაიჭრა წინ. გერმანელის საკმაოდ კარგი რეიტინგი აქვს - 2533, მაგრამ ფავორიტად მაინც არ მიიჩნევდა - 23-ეა გამთესელი; არც ნოდება აქვს მაღალი - მხოლოდ საერთაშორისო ოსტატი. რეგალიების სიმცირეს არიკისათვის ხელი არ შეუშლია, მეთერთმეტე ტურში თეთრებით დაემარცხებინა ინამდე ერთპირფენული ლიდერი, ფილიპინელი დიდოსტატი **ვესლი სოუ** (2577). მართალია, ბრაუნი ეუოდად ლიდერობს, მაგრამ მდგომარეობა დიდ ჯაგუფს მხოლოდ ნახევარი ქულით უსწრებს. ასეთ ვითარებაში კი ბოლო ტურამდე შეუძლებელია, ნინასწარ გამოიცნო გამარჯვებული. არიკის გაელიდერებაში დიდი როლი ითამაშა ვიეტნამელმა **თრანგსონ ნგუენმა,** რომელმაც მეთერთმეტე ტურამდე ერთპირფენული ლიდერი, 8 ქულის მქონე ებრალი **მაქსიმ როდშტინინ** დაამარცხა.

ქართველთა შედეგიანობა ამ ტურში საშუალო იყო: **თორნიკე სანიკიძემ** თეთრებით ვერ დაამარცხა ინდოელი დიდოსტატი **ნარაიანან გეთა,** ქულა გაუყო და 6.5 ქულით კიდევ უფრო დაშორდა ლიდერთა მოზრდილ ჯგუფს.

ყაიმით თამამშა **დავით ბენიძემაც** - შავებით დაუზავდა ჰოლანდიელ საერთაშორისო ოსტატს **როლანდ პრუიჯსერსს** (2452). დავითს 5.5 ქულა აქვს. ამდენივეი და მეტის მოგოვაგების შანსი ჰქონდა **ნოდარ ლორთქიფანიძესაც,** მაგრამ, სამნოსანთან, ნამნუხარად, ნოდარმა მარცხი ინვნია - ბერძენ საერთაშორისო ოსტატ **იოანის პაპადოპულოსთან** შეხვედრაში ვერ მოიძია თავის დაცვის გზები. ლორთქიფანიძეს 5 ქულა აქვს.

მეთერთმეტე ტურში ჩვენებურთა წილისყრა ასეთია: სანიკიძე - **ვიტტორ ლაზნინჩა** (ჩეხ. 2601); **კირილ სტუპაკი** (ბელ. 2458)-ბენიძე; ლორთქიფანიძე-**ეიაჩესლავ კულაკოვი** (რუს. 2360); **სვამინათანან სუუმია** (ინდ. 2293)-მიქაძე; პაიკიძე-**გულისხან ნახბაევა** (ყაზ. 2170); **ვარდუჰი კალამანი** (სომ. 2049)-ნანლაშვილი.

ზვიად შათირიშვილი

კალათბურთი

ბოისა ესპანეთში ითამაშებს

ესპანური კლუბის, "მენორკას" საიტმა გაავრცელა ინფორმაცია ამ გუნდში ქართველი **ვლადიმერ ბოისას** გადასვლის შესახებ. ბოისამ გუნდთან ერთნლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და 2008-09 ნლებში ესპანეთის ჩემპიონატში ითამაშებს.

საიტზე გამოქვეყნდა ვრცელი "მოხსენება" ვლადიმერ ბოისას შესახებ, რომლის თარგმანსაც გთავაზობთ:

"ჩვენი გუნდის უფროსობამ ხელშეკრულება გაუფორმა სლოვენის პასპორტის მქონე ქართველ კალათბურთელს, ვლადიმერ ბოისას. იგი 27 ნლისაა, 209 სმ სიმაღლისა და 2007-08 ნლებში საბერძნეთის "არისში" თამაშობდა.

*ბოისა შუფრთხვა "მენორკას" ახალნეულებს: **იუანინ ჯეტერს, ჯოზეფ მარია გუსმანს, ერმიცა სტეფანოვს, მარიო სტოიჩს, მარინო ბაზდარჩს, მარკ ფერნანდეზს, კალოპ ივანოვს, ხესუს ფერნანდეზს, ფრენ ოტეგაუის და ბუდ ვლის.***

გუნდის შემადგენლობაში განხორციელებული სერიოზული ცვლილებებიდან ადგილობრივ გულშემტკივრებს აინდედებს, რომ ესპანეთის რეზერვისტებმა მარშან ნაწვეულ შედეგს "მენორკა" მნიშვნელოვნად გაუუჯობესებს. გასულ სეზონში ამ გუნდმა მე-16 ადგილი დაიკავა და ძლივს გადარჩა უმაღლესი ლიგიდან გავარდნას - ბოლოს ნინა პოზიცია ზე გავიდა.

*კლუბის ახალნეულს, ვლადიმერ ბოისას მრავალფეროვანი კარიერა აქვს: 18 ნლის ასაკში სლოვენის "ოლიმპიაში" ჩაირიცხა. მას შემდეგ ერთი სეზონი იმავე ქვეყნის "სლოვანში" თამაშობს, საიდანაც ისევ "ოლიმპიაში" დაბრუნდა და გუნდის ლიდერად იქცა. 2003 ნელს ბოისა სლოვენიაში "მენორკის" ამფაძინდელ ნევრ მარინო ბაზდარჩინთან და ყოფილ ნევრთან **რატკო ვარდასთან** ერთად თამაშობდა. 2005 ნელს ბოისა იტალიის "მონტეკასკიში" გადავიდა, სადაც ისევე "მენორკის" ამფაძინდელ მოთამაშე ერმიცა სტეფანოვთან ერთად ასპარე ზობდა.*

2007 ნელს ქართველი რუსეთის "სპარტაკში" ჩარიცხა, საიდანაც შუა სეზონში საბერძნეთის "არისში" გადავიდა. ამ კლუბთან ერთად მან ევროლიგის ფინალურ 16-ეულში ესპანური "ტაუ"-ს წინააღმდეგ ითამაშა.

ვლადიმერ ბოისას ტატულებს შორისაა 2002 ნლის ადრიატიკის თასის ოქრო, 2004-05 ნლებში მოპოვებული სლოვენიისა და 2007 ნელს – იტალიის ჩემპიონობა. იგი 2005 ნელს სლოვენიის საუკეთესო მცველად დასახელდა.

სლოვენიის პასპორტის მქონე ქართველს შეუძლია თამაში როგორც ფლანგზე, ასევე ფარქეგზე, მეოთხე ნომრად. იგი სწრაფია, მოედანზე კარგად გადაადგილდება, ფიზიკურად საკმაოდ ძლიერია და სწორლი სიზუსტე არ დაენგნება. ბოისა გაცილებით ეფექტური მაშინაა, როცა თამაში საკუთარ თავზე იღებს - ამ შემთხვევაში მისი შედეგიანობა იმატებს. "ოლიმპიაში" ჩვამართული რამდენიმე კარგი სეზონის შემდეგ საკუთარი თამაშის პოვნა უჭირს. თუკი "მენორკაში" ძველ სპორტულ ფორმას აღიდგენს, ადგილობრივი ქომაგების დიდ სიმპათიას მოიპოვებს.

ვლადიმერის დამსტებით საგრძნობლად გაძლიერდა "მენორკის" წინა ხაზი - ბოისა-ბუდ ვლისის დუეტი ნებისმიერი მონინააღმდეგისთვის რთულად გადასალახავ მარიერად უნდა იქცეს."

პაატა შალამბერიძე

ზაზა ფაჩულია ანტირუსულ აქციაზე

ისევე, როგორც ყველა ქართველი სპორტსმენი, **ზაზა ფაჩულია** შეწუხებული საქართველოში მიმდინარე მოვლენებით. იგი ამერიკის ქალაქ ატლანტაში ქართველების მიერ მოწყობილი აქციაზე გამოვიდა და ჟურნალისტებსაც ესაუბრა პოლიტიკურ თემაზე.

ფაჩულიას კომენტარის გამოქვეყნებამდე ამერიკელმა ჟურნალისტმა შეგვახსენა, რომ ზაზა ის კალათბურთელია, რომელმაც ნბა-ს პლეი ოფში **კევინ გარნეტს** უხეშობა არ შეარჩინა და დიდი ჩხუბი აუტეხა.

"ქართველები ერთ დიდ ოჯახად ვცხოვრობთ. ძალიან გულდასაწყვეტია, რომ ჩემს ქვეყანაში ხალხი იხოცება. რუსები დღეს საქართველოში შეიჭრნენ, ხვალ კი შეიძლება სხვა ქვეყანაშიც შევიდნენ... ჩემი მეგობრები, ჩემი ოჯახი ომშია... როცა ომზეა ლაპარაკი, ისიც უნდა ითქვას, რომ საქმე ეხება ადამიანთა სიცოცხლეს..." - განაცხადა ზაზა ფაჩულიამ.

პაატა შალამბერიძე

რაგბი

ფრანგული ლეგიონი სამრავად მზადაა!

ფრანგული სარაგბო გაზეთის "მიდი ოლიმპიკის" ცნობით, ამ ქვეყანაში მოთამაშე ასამდე ქართველმა მორაგბემ აქცია გამართა: ბორჯღალოსნები, ფრანგი ჟურნალისტის თქმით, შეშფოთებულნი ადევნებენ თვალს საშობლოში განკითარებულ მოვლენებს და მდგომარეობის კიდევ უფრო გართულების მეშინოვევაში, მზად არიან საფრანგეთი დატოვონ და მინ საბრძოლველად გამოემართონ!

"ორი დღის წინ, როცა შევიტყვე, რუსის ჯარი თბილისისკენ დაიძრაო, მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭია, არ ვიცოდი, რა მეკნა. თბილისთან სატელეფონო კავშირი არ იყო, არადა, ჩემი ოჯახი დღემდე თბილისში იმყოფება. - თქვა საქართველოს ნაკრებისა და "ბრავის" პირველბაზელმა **დავით ხინჩაგაშვილმა.** - ძნელია, ასეთ მდგომარეობაში რაგბზე იფიქრო. "ატლანთან" სანერნილი მატჩის დროს იმყოფად დავიბენი, ჩემს თანამემამულე **ორაკლი მაჩხანელს,** რომელიც ამ გუნდის გარემარბია, კინალამ ცასი მივეცი".

საქართველოს ნაკრებისა და "კლერმონის" პირველბაზელ **დავით ზირაქაშვილს** თბილისში გამოსამგზავრებელი ბილეთი უკვე ნაყიდი აქვს.

"საფრანგეთში მოთამაშე ქართველი მორაგბეები მზად ვართ, სამშობლოში დაგბრუნდეთ და მტერს შევებრძოლოთ. ეს გადაწყვეტილება ყველამ ერთად მივიღეთ. საქართველო ჩვენი სამშობლოა და ვაღფერებული ვართ, დავიცვათ იგი." - თქვა ზირაქიშვილმა.

თავის მხრივ, შეეშინოი მდგომარეობით შეშფოთებულნი არიან იმ ოცდაათამდე ფრანგული კლუბის ხელმძღვანელები, რომლებშიც ქართველი მორაგბეები ასპარეზობენ.

ბესიკ ჯანგბავაძე

ინტერვიუ ზურაბ ხიზანიშვილთან

ქუჩაშიც იგრძნობა, რომ ინგლისელებს რუსები არ ესიმპათიურებათ

ჯერ ისიც არ ვიცი, ვითამაშებთ თუ არა უელსში

ზურაბ ხიზანიშვილი

რუსეთისაგარესიას ჯერ ბოლო არ უჩანს, დასავლეთ რუსეთზე პოლიტიკურ ზნეოლას ამლიერებს, მაგრამ სიტუაცია საქართველოში ფაქტობრივად უცვლელია.

მაინც რა განწყობილებაა დასავლეთის ქვეყნებში? „ლელოში" არაერთი ინტერვიუ შემოგთავაზეთ ჩვენს ლეგიონერებთან. ახლა კი ჩვენი რესპონდენტი ერონული ნაკრების და „ბლექბერნ როვერსის" მცველი ზურაბ ხიზანიშვილია.

ზურას გუშინ მანჩესტერში შევეხმიანეთ.

- როგორია ინგლისიდან დანახული რუსეთ-საქართველოს ომი?

- აქ ისეთი რეზონანსულია ეს ყველაფერი, რომ პეკინის ოლიმპიური თამაშები აღარავის ახსოვს. ყველა ტელეარხი და გაზეთი, პირველ რიგში, საქართველოში დაგრძალებულ მოვლენებს აშუქებს.

- როგორია ინგლისელების პოზიცია? მათთვის სულერთია, რა ხდება საქართველოში? რა თვალით გვიყურებენ ჩვენ და რა თვალით უყურებენ რუსეთს?

- ინგლისელების განწყობილება პირად საუბრებშიც იგრძნობა და ქუჩაშიც - რუსების მიმართ სიმპათია არავის აქვს, ყველა იმას ამბობს, რომ ეს არის დიდი ქვეყნის აგრესია პატარა საქართველოს მიმართ. პოლიტიკურად რუსეთის ქმედებას აქ ყველა აკრიტიკებს და გმობს.

- ბრიტანეთში მცხოვრები ქართველები საპროტესტო აქციებს არ გეგმავენ?

- 16 აგვისტოს გეგმავენ საპროტესტო აქციას ლონდონში, რუსეთის საელჩოსთან. ამ აქციას მე ვერ დავესწრები. რა თქმა უნდა, ძალიან განვიცდი ყოველივეს. ვითომ ცეცხლის შენყვეტაზე შეთანხმება მიღწეული იყო, მაგრამ ასე არ მოხდა.

- ბრიტანელი ჟურნალისტები თუ დაგიკავშირდნენ რუსეთ-საქართველოს ომზე სასაუბროდ?

- კი, მათ შორის ჟურნალისტები სიენ-ენ-იდან და ბი-ბი-სი-იდან, „ბლექბერნის" ბაზაზე მოვიდნენ და მეტწილად კონფლიქტის დეტალებზე მეკითხებოდნენ. რა თქმა უნდა, ვუპასუხე, რომ დეტალები ჩემთვის უცნობია.

- ნაკრების ფეხბურთელები არ აპირებთ რაღაცნაირად გამოეხმაურით ამ მოვლენებს და საქველმოქმედო აქცია მოაწყოთ?

- ცხადია, ამის დიდი სურვილი მაქვს. ახლა მთავარია, ნაკრების ფეხბურთელები შეეკრიბოთ.

- 20 აგვისტოს ხომ უელსში გიქვთ ამხანაგური მატჩი...

- კი, მაგრამ ჯერ არავის უცნობებია ჩემთვის, თუ ზუსტად სად და როდის უნდა ჩავიდე უელსში. არც ის ვიცი, ეს მატჩი საერთოდ გაიმართება თუ არა. ნაკრებში მიმეკვეა კი მომივიდა, მაგრამ მეტი არაფერი ვიცი.

- „ბლექბერნში" რას გეუბნებიან საქართველოში შექმნილ ვითარებაზე, არ გამხნევებენ?

- როგორ არ მამხნევებენ, ყველა ცდილობს, თანაგრძნობა გამოხატოს. მთავარმა მწვრთნელმა პოლ ინსმა კი მითხრა, თუ საქართველოში ჩასვლა გინდა, პრობლემა არ იქნება, გაგიმეგობრო.

დავით თავართქილაძე

ქართველები ჩემპიონთა ლიგაზე

ქეცბაიას ჩუბინობა

როგორ ამარცხებს ღარიბი მდიდარს

უკ.რა დამ-ხოშიანი გამოდგა **თემურ ქეცბაია** გუნდის გამარჯვება - ქართველი მწვრთნელის დამოძღვრილმა „ანორთოსისმა" ჩემპიონთა ლიგის ბოლო საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრაში საბერძნეთის ჩემპიონ „ოლიმპიაკოს"-ს კუდით ქვა ასროლინა - შინ 3:0 დაამარცხა.

ფამაგუსტას „ანორთოსისი" „ოლიმპიაკოსთან" შეადარები ერთის მოკრძალებული კლუბია - ბერძნული გუნდი ბევრად მდიდარია და ქეცბაიამ ყველას კარგად დაანახვა, რამდენს ნიშნავს მწვრთნელის ფაქტორი და რა არის საფეხბურთო დემოკრატია.

საპასუხო მატჩი ათენს გარეუბან პირეოსში გაიმართება 27 აგვისტოს და კვიპროსელებს საკმაოდ კარგი შანსი აქვთ, ჩემპიონთა ლიგაში მოხვდნენ - ქეცბაია კვიპროსული ფეხბურთის დიდების დარბაზში შარშანინ „ანორთოსისის" მიერ უეფას თასზე თურქული „ტრაბზონსფორის" ძლევით შევიდა და ახლა ვინძლო ახალი ფურცელი დაწეროს კვიპროსის ისტორიაში.

კვიპროსელები **ვასილის ტოროსდისის** ავტოგოლით დანინაურდნენ მეხუთე წუთზე და სწრაფმა გოლმა თითქოს ფრთები შეასხა „ანორთოსს". მეორე გოლი **ლუკაშ სოსინმა** გაიტანა მეცხრამეტე წუთზე, წერტილი კი **ვინსენტ ლაბანმა** დასვა მატჩის დასრულებამდე სამი წუთით ადრე. რაც შეეხება „ანორთოსის" ჩვენებურ ფორვარდს, **კლიმენტი ნიტაიშვილი** სამატჩო განაცხადში არ ყოფილა.

ნუკრი მანჩხავას და **აკაკი ხუბუტიას** „კაუხასმა" დანიის ჩემპიონ „ოლბორგთან" სტუმრად 0:2 ნააგო და ლიგაში მოხვედრის შანსი შეიმცირა. თუმცა არ უნდა დაგვივინყდეს, რომ ლიტველებმა ნინა ეტაპზე თვით „ვალაზგო რენჯერსი" დაჯახნეს.

„ოლბორგთან" მანჩხავამ სრულად ითამაშა, ხუბუტია კი განაცხადში არ იყო.

დავით თავართქილაძე

მე მჯერა, რომ ამ ომს მოვიგებთ!

ჯაბა კანკავა: ტრავმა კოჭი და საქართველოა

ჯაბა კანკავა (№22)

ჯაბა კანკავა "დნეპრის" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი იყო მთელი ორი წლის განმავლობაში. ერთხელ მასა და მთავარ მწვრთნელ ოლეგ პროტასოვს შორის პატარა უსიამოვნება მოხდა, რაც ემოციური ქართველის გადამეტებული აგრესიითა და „ნოთლების" სიოჭვით იყო გამოწვეული. მერე კი ყველაფერი მოწესრიგდა.

წლევანდელი სეზონი განახლდა და საქართველოს ეროვნული ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი არც ძირითადში გამოჩენილა და არც დუბლებში.

ამის მიზეზი ამჯერად არა მწვრთნელის მიერ იგნორირებაა, არამედ 21 წლის ფეხბურთელის ტრავმა ყოფილა.

ჯაბა თბილისში ჩამოვიდა და ინტერვიუ ჩამოვართვით.

- სეზონი დაწყებულია. შენ კი არც თამაშობ და ამ გაგანია სეზონის დროს თბილისშიც ჩამოსულხარ. რა ხდება?

- როგორ ვითამაშებ, საკმაოდ მძიმე ტრავმა მივიღე. კოჭი მოვიტეხე და თბილისშიც ამიტომ ჩამოვედი.

- ეს როდინდელი ამბავია? მის შესახებ "დნეპრის" პრესსამსახურს არანაირი ინფორმაცია არ გაუვრცელებია.

- 31 ივლისს ვარჯიშზე მოვიტეხე. არავინ დამჯახებია, მკვეთრი მოძრაობა გავაკეთე და შემოტეხილების დროს მაგარი ტკივილი ვიგრძენი. ძლივს მხარის ოპერაცია გავიკეთე და ახლა კიდევ ეს მინდოდა?

- ვარჯიშს როდის განაახლებ?

- ჯერ არ ვიცი. 20 აგვისტოს სურათი უნდა გადამალონ, თაბაშირი უნდა მოვიხსნა და მერე მეტყვიან. თუ მკურნალობა კარგად წარიმართა, მაშინვე საინეკციო ტაცეი ჯერ

- შენი გუნდი უკრაინის რუსულ რეგიონს ეკუთვნის. როგორია ხალხის და თანაგუნდელების დამოკიდებულება რუსეთის აგრესიის დაწყების შემდეგ? პრორუსები აზრზე არ არიან, რა მოხდა და აქეთ გვადანაშაულებენ, ომი ქართველებმა დაიწყეთ.

- ჩვენ უკრაინაში ვართ, საკმაოდ მეგობრული გუნდი გვაქვს და ანტიქართული განწყობილება და ერთმანეთს გადაკიდება ნამდვილად არ იგრძნობა.

პირადად ჩემი, ქართველი ფეხბურთელის და უბრალოდ, ადამიანის პოზიცია რუსეთის აგრესიაზე ცალსახაა. რას უნდა ვფიქრობდე? ახლა ქართველებს სხვა აზრი არც გაგვაჩნია, ქვეყანას გვიკლავენ და მე ვერანაირად ვიტყვი რუსებზე კარგს. მათი პოლიტიკა საქართველოს დამონებას ითვალისწინებს, ეს არც ერთ ქართველს არ სურს!

- გზერა, რომ ომი ჩვენდა სასიკეთოდ დასრულდება?

- რა თქმა უნდა, მჯერა.

მერაბ მამულაშვილი

ქართული გუნდები არ ვარჯიშობენ

ომია და რა დროს ფეხბურთია?

რუსეთის აგრესიამ ხალხს მხოლოდ ერთი საფიქრალი დაუტოვა - ეს ომია.ითა ქართველმა დავითმა როგორ უნდა დამარცხოს?

სანამ ამ ბრძოლას გამარჯვებამდე მივიყვანთ, მანამდე საქართველოში მხოლოდ ერთადერთი გუნდი, „ვიტ ჯორჯია" ემზადება, რომელიც ორ კვირაში ევნაში „ჟუსტრიას" დაუპირისპირდება.

ყველა დანარჩენი შეფერხებულია. მაგალითად, რუსთაველი „ოლიმპის" მთავარი მწვრთნელი, ხვიჩა ქასრაშვილი ოზურგეთში ოფკახის ნეგრების ჩამოსაყვანად იყო წასული და გორში აგრესორების შეჭრის გამო, თბილისში ჩამოსულა ვერ ახერხებს.

„ეე ოზურგეთში ვარ და ვის ეფეგბურთვება. რომელი ვარჯიში, გაჩერებულები ვართ. ველოდებით, იმედია, მალე მშვიდობა დაინამდგურობს და ფეხბურთის ხალისით, ვამარჯვებით დაკუბრენდებით", - გვითხრა ქასრაშვილმა.

ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდა თბილისის „ლოკომოტივის" ვითავარი ბურონელი ასსტენტენი ზაზა ზამთარაძე: „ბპთუშში ოდგახს ჩამოვაკითხე და თბილისში ველარ ვბრუნდები. „ლოკომოტივიც" ნორმალურად ვერ ვარჯიშობს. გიორგი კიკნაძე საღამოობით ბიჭებს კრებს იმისთვის, რომ ფორმა შეინარჩუნონ და მსუბუქად აკარჯიშებს. დღეს ვის ეფეგბურთვება."

„დინამოშიც" ანალოგიური ვითარებაა. „ბუნდი კახა კაკარავას ხელმძღვანელობით ვარჯიშობს. ლეგიონერები ხშირად გვიკავშირდებიან, მაგრამ ასეთ ვითარებაში ვინ ჩამოვა. რა თქმა უნდა, ნორმალური სანერვილი პროცესის გამართვა მაინც ვერ ხერხდება. სამწუხაროდ, რუსულმა აგრესიამ ამის ხალისი წ�ავიოთვა", - გვითხრა „დინამოს" პრესსამსახეგ ბიგგა ბეგინაძემ.

თუკი „დინამო" და „ლოკომოტივი" მსუბუქად მაინც ვარჯიშობენ, „ზესტაფოფში" მოთამაშეების შეკრება ვერ ხერხდება.

„სამწუხაროდ, ვერ მოვაგროებთ შეკრება. ჩვენი ფეხბურთელები რიოთიდან არიან ნამოსასვლელები და იციან, რომ ბორში რუსმა ოუუპატეგბმა გზა გადაკეტეს. დღეს ხალხს სამარშრუტო ტაქსებს და მანქანებს არომეკვლენენ და ბიჭებიც სახიფათო გზაზე წამოსვლას ერიდებიან.

ბრაზილიელები საკმაოდ შეშინდნენ, ბათუმში ნავიდნენ და თუ ვითარება უფრო გამწვავდება, თურქეთში გადავლენ. დღეს ბრაზილიელმა ჟურნალისტებმა რომ დაურეკეს, ამის გამო უფრო დაფრთხნენ.

თუმცა მჯერა, რომ რუსეთის აგრესია მალე დასრულდება და მათ ჯარებს საქართველოში სხვები ჩანაცვლებენ", - გვითხრა „ზესტაფოფონის" პრესსამსახეგ ნინა ფუტკარაძემ.

მერაბ მამულაშვილი

ეროვნული ნაკრები. ირლანდიასთან მატჩი

ჭრაპაჭონი თბილისში თამაშს უარობს

ყველაფერს ფიფა გადაწყვეტს

6 სექტემბერს თბილისში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევის მატჩში ირლანდიას უნდა ვუთამაშინაილოთ. გუშინ საქართველოში მყოფმა ოკუპანტებმა ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში თარეში დაიწყეს და ვითარება ისევ დაიძაბა. ირლანდიის საფეხბურთო ასოციაციამ კი ფიფას ოფიციალური წერილით მიმართა.

„რაღა თქმა უნდა, ჩვენც შეშფოთებული ვართ საქართველოში ვითარების დაძაბვის გამო და იმედს გამოვთქვამთ, რომ ვითარება მალე მშვიდი და სტაბილური გახდება. არსებულ სიტუაციაში, როცა ვერ ვიღებთ უსაფრთხოების გარანტიებს, თბილისში ვერ ვითამაშებთ და საქართველოსთან მატჩის ნეიტრალურ მოედანზე ჩაწარმართას ვითხოვთ", - ნათქვამია ირლანდიის საფეხბურთო ასოციაციის მიერ ფიფასათვის გგზავნილ წერილში.

ირლანდიის ნაკრების თავკაცი **ჯოვანნი ტრაპატონი** კი აღნიშნავს: „საქართველოში მძიმე მდგომარეობაა შექმნილი და ეს კარგად მესმის, მაგრამ ასეთი ვითარებაში თბილისში თამაშის ჩატარება აღარათ გამორიცხულია. იმედია, ფიფა ჩვენს თხოვნას გაითვალისწინებს", - წერს „დეილი ტელეგრაფი".

აღსანიშნავია ისიც, რომ „ლივერპულის" მცველმა **სტივ ფინანმა** ნაკრებში დაბრუნების მზადყოფნა გამოთქვა. **ჯოვანნი ტრაპატონი** ფინანის ამ გადაწყვეტილებას მიესალმა და ის 20 აგვისტოს ნორვეგიასთან ამხანაგური მატჩისთვის ნაკრებში გამოძახებულთა სიაში შეიყვანა.

დავით ცაბაძე

ლისაბონის სპორტინგი: მხარს ვუჭერთ ქართველ ხალხს

ბუბა ტყავაძე

საქართველოს წინააღმდეგ რუსულ აგრესიას გვერდი ვერ უუქცევს ევროპის საფეხბურთო წრეებში.

თბილისის „დინამოს" მმართველმა დირექტორმა **ბუბა ტყავაძემ** გაგვაცნო წერილი, რომელიც პორტუგალიიდან კლუბის სახელზე გამოგზავნეს.

- ჯერ მინდა თბილისის „დინამოს" სახელით აღშფოთება გამოვხატო იმ აგრესიის გამო, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ ხორციელდება, - გვითხრა ბუბა ტყავაძემ, - ეს არის უდიდესი ტკივილი და შეურაცხყოფა, როდესაც ერთი ქვეყანა მეორეს ასე ეძლევა 21-ე საუკუნეში. ამ დროს ძალიან ბევრს ნიშნავს თითოეული ჩვენგანისთვის, როდესაც უცხოელთან არიან ადამიანები, ორგანიზაციები და რიგი ქვეყნებისა, რომლებიც საქართველოსადმი მხარდაჭერას გამოხატავენ.

სასიამოვნო სიურპრიზი იყო ის წერილი, რომელიც ლისაბონის „სპორტინგიდან" გამოგვიგზავნეს. ეს იყო ის იშვიათი სიხარული, რომელიც ბოლო დღეებში განვიცადეთ. თუმცა, მთლად მარტინი არ ვართ, არიან ადამიანები, რომლებიც ჩვენს ტკივილს განიცდიან და სულიერად გვამხნევებენ. გუნდის თითოეული ნევრი მომხდარით აღშფოთებულია. მართალია, ჩვენი ლეგიონერები და მთავარი მნვრთნელი უცხოეთში იმყოფებიან, მაგრამ მზად არიან, საქართველოს მხარდამჭერ აქციებში მონაწილეობა მიიღონ, თუკი ეს მათ ქალაქებთან ახლოს ჩაწარმოდა".

დღეს რაინერ ცოტელმა დამირეკა. ძალიან განვიცადე, თქვენგან შორს რომ ვარ და თქვენთან არ ვდგავარ ამ გაჭირვებაში; იმედია, მალე ომი დასრულდება და ყველაფერი საქართველოსთვის სასიკეთოდ შეიცვლებაო. ჩვენც ამის იმედად ვართ.

მერაბ მამულაშვილი

იქნება მატჩი უელსთან?

კარდიფში თბილისიდან პასუხს დღეს ელიან

20 აგვისტოს დაგეგმილ უელსისა და საქართველოს ეროვნული ნაკრებების ამხანაგური მატჩის გამართვას საფრთხე აღარ ემუქრებოდა. თუმცა გუშინ დილიდან ვითარება კვლავ დაიძაბა და შესაბამისად, უელსელთა რეაქციაც გამოიენია. მათ აქამდე ქართველი მხარისგან გადამჭრელი პასუხი ვერ მიიღეს, ჩავა თუ არა საქართველოს ნაკრები უელსში ამხანაგური მატჩის ჩასაბარებლად. ერთი სიტყვით, გუშინ „ბელფასტ ტელეგრაფმა" მორიგი მასალა გამოაქვეყნა, რომელიც ქართველი მკითხველისთვისაც საინტერესო უნდა იყოს.

„საქართველოს ნაკრები კვლავაც მზადყოფნას გამოთქვამს, 20 აგვისტოს უელსთან ამხანაგური მატჩის ჩაბარებისთვის. თუმცა თბილისთან და მის სიახლოვეს გუშინ ვითარება ისევ დაიძაბა და თბილისი გადაყარეთ ჯერ კიდევ ვერ გვასუხობიან, მეძლება თუ არა საქართველოს ნაკრები უელსში ჩამოფრენას.

ვითარება სავიზო პრობლემაც არ თუსლებს. დიდი ბრიტანეთის საელჩო დროებით თბილისიდან ბაკოში გადავიდა. ჩვენ მოლაპარაკებები გავმართეთ უკვე ბაკოში დისლოცირებულ ბრიტანელ დიპლომატებთან, კონსულტაციებს ვაგრძელებთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. მათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას სავიზო პრობლემების მოგვარებაში სრული მხარდაჭერა აღუთქვეს. თუ ქართულ მხარეს სავიზო პრობლემა მოეწესრიგა და საქართველოში მშვიდობა დაისადგურებს, მაშინ 20 აგვისტოს სუონსიში, „ლიბერთი სთედიუმშე", უელსისა და საქართველოს ნაკრებებს შორის ამხანაგური მატჩი გაიმართება.

უელსის საფეხბურთო ასოციაცია დათანხმდა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ საბოლო პასუხი 14 აგვისტოს თქვას.

ვნუხვართ საქართველოში შექმნილი მდგომარეობის გამო. იმედს ვიტოვებთ, რუსული აგრესია შეჩერდება და საქართველოში სიმშვიდე დაისადგურებს", - წერს „ბელფასტ ტელეგრაფი".

უელსის საფეხბურთო ასოციაციის ოფიციალურ ვებგვერდზე გუშინ გამოჩნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ უელსში ჩასასვლელად საქართველოს ნაკრებს სავიზო პრობლემა შეექმნა. მასპინძელი მხარე იმედს გამოთქვამს, რომ დიდი ბრიტანეთის საელჩო, რომელიც ბაკოში დროებით გადავიდა, ქართულ მხარეს სავიზო პრობლემას მოუხსნის.

საინტერესოა ისიც, რომ უელსის ეროვნულ ნაკრებში კიდევ ერთი ცვლილებაა. **ჯონ ტოშაკმა** „ოლდჰემიდან" გამოძახებული **კრეიგ დევისი** დისციპლინური დარღვევისა და კლუბის მოთხოვნის გამო სანაკრებო სიიდან მოხსნა. დევისის ნაცვლად ტოშაკმა ეროვნულში „შეფილდიდან" **დვიდ კოტერლს** უხმო.

დავით ცაბაძე

ნედ ზელიჩი: თქვენთვის ავსტრალიიდან ვლოცულობ

ნედ ზელიჩი

ის, რომ საქართველოს ბედი უცხოელებისთვის სულერთი არ არის, ერთხელაც გამოჩნდა. თბილისის „დინამოს", ავსტრალიის ნაკრებისა და „დორტმუნდის" ყოფილმა მცველმა **ნედ ზელიჩმა** „ლეელოსთან" საუბარში ასეთი განცხადება გაკეთა:

- სულ რაღაც ორი წელნადი ვითამაშე საქართველოში და ძალიან ბევრი კარგი ადამიანი გავიცანი, მეგობრები შევიძინე. ახლა ავსტრალიაში კი ვარ, მაგრამ რაც შემიძლია, ყველაფერს ვაკეთებ თქვენთვის - ელოცულობ, რომ ყველაფერი საქართველოს სასიკეთოდ წარიმართოს. ნარმოიშობით ხორვატი ვარ და ვიცი, თუ რა არის ასეთი ომი. ქართველებს გამარჯვებას ვუსურვებ ამ უთანასწორო ბრძოლაში. ქართველები ჩემი ფეხი და ძმები არიან და ძალიან მინდა, რომ თქვენთან ყველაფერი კარგად იყოს.

მერაბ მამულაშვილი

ხაჩიძე გაგრაში მივიდა

როგორც კი 2007-08 სეზონი დასრულდა, „ბორჯომს" მწვავე ფინანსური პრობლემები შეექმნა. გუნდი დატოვეს იმ ფეხბურთელებმაც, რომლებიც ბორჯომელებმა თბილისის „დინამოსგან" ინათხოვრეს. ერთი სიტყვით, „ბორჯომს" ისეთი პირი უწანს, დამდეგ სეზონში ოდენ უმაღლესი ლიგიდან არგადარდნისთვის თუ იბრძოლებს. ისიც სათუოა, მეძლება თუ არა „ბორჯომი" უმაღლეს ლიგაში თამაშს.

„ბორჯომი" მთავარმა მნვრთნელმა **ვლადიმერ ხაჩიძემაც** დატოვა და ახლახან ახალ გუნდში მოეწყო - უმაღლეს ლიგაში აღზევებული „გაგრა" ჩაიბარა. ხაჩიძის თანაშემწე **თემურ რხაიძე** იქნება - ლანჩხუთის „გურრიისა" და თბილისის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი, რომელიც ბოლოს მნვრთნელად ოლიმპიური მზადების ცენტრში მუშაობდა.

„გაგრა" დატოვა უნინდელმა მნვრთნელმა **გიორგი ქიაბრიშვილმა**, ის ხაჩიძის სამნვრთნელო შტაბში არ იმუშავებს.

„გაგრა" დამდეგი სეზონისთვის სხვადასხვა მოედანზე ემწაფება - თენგიზ სულაქველიძის სახელობის აკადემია, „ნორჩი დინამოელი". ახალი ფეხბურთელები კი „გაგრას" არ დაუმატებია.

დავით თავართქილაძე

ლეგიონერი

ლევან კობიაშვილი: საქართველო ჩემს გულშია

ქართველი ლეგიონერები სამშობლოში არ არიან, მაგრამ საქართველოზე ფიქრი არ ასვენებთ. ამის დასტურად გერმანულ „ექსპრესში" **ლევან კობიაშვილზე** გამოქვეყნებული სტატიაც მეტყველებს. მასალა სათანადო ასახვას ინის ექოსა და ჩვენი ლეგიონერების განცდებს.

„ჩემი მეუღლე თამუნა და ორი შვილი - ნიკა და სალომე, ძმა, შმობლები, ბებია-ბაბუა თბილისში იყვნენ. საქართველოში საბრძოლო მოქმედებები რომ გაჩაღდა, ოთხი დღის განმავლობაში არ მძინებია. ბუნებრივია, ჩემებზე ვფიქრობდი. ტელეფონით ინტენსიურად ვცდილობდი მათთან დაკავშირებას, მაგრამ ბევრჯერ კავშირის დამყარებას ვერ ვახერხებდი. ჩემიანები უკვე ზამოვიდნენ ბერმანიაში და ცოტა არ იყოს, ამოვისუნთქე. თუმცა ჯერ კიდევ ვერ დავშშვიდდი. საქართველო ჩემს გულშია და როგორც გაგიგე, ჩემი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში რამდენიმე აფეთქება მოხდა. ბევრი სახლი და შენობა დანგრეული და გაპარტახებულია. ამის გამო ძალიან ეწყრეთულმა. იმედია, მალე მშვიდობა დამყარდება", - „ექსპრესთან" საუბარში განაცხადა ლევან კობიაშვილმა.

დავით ცაბაძე

ლემპარდის ხუთწლიანი



ფრენკ ლემპარდმა ყველა არას და ჰოს წერტილი დასუნა. გუშინ მან "ჩელსისთან" ახალი 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამ კონტრაქტის ძალით მან ლონდონურ გრანდს ბედი 2014 წლის 30 ივნისამდე დაუკავშირა, რაც იმას ნიშნავს, რომ კარიერისაც იქვე დასარულებს. ლემპარდი, რომელსაც "ინტერში" გადასვლის რეალური შანსი ჰქონდა და დიდხანს იკავებდა კიდეც თავს ხელშეკრულების გაგრძელებისგან, "სტამფორდ ბრიჯზე" დარჩენა ფანებისადმი სისვარულით ახსნა, ვიცოდი, რომ ამ გადაწყვეტილებით მათ უდიდეს სიხარულს მივანიჭებდი...

ამხანაგური მატჩი

აინტრახტმა რევანში ვერ აიღო

ფრანკფურტის "კომერცბანკ-არენაზე" საინტტრესო ტესტ-მატჩს უმასპინძლა. ბუნდესლიგის სტარტის წინ, "აინტრახტი" "რეალზე" უკეთეს სპარინგს ვერც ინატრებდა. 1960 წელს, სამეფო კლუბმა ფრანკფურტელი კლუბს ჩემპიონთა თასის ფინალში მძიმე მარცხი (7:3) აგება. სხვათა შორის, გუშინდელ მატჩს, ორივე მხრიდან, ისტორიული დაპირისპირების მონანილეობა ესწრებოდნენ...

ბუნებრივია, "აინტრახტს" მოტივაცია მეტი ჰქონდა. პირველ ტაიმში **ფრიდჰელმ ფუნკელის** გუნდს ამჯარა უპირატესობა ჰქონდა. უცანური იყო, რომ "რეალმა" თავიდანვე დათმო უპირატესობა და დაიკვიბი ჩაჯდა. ესენელებმა მეტოქის პასიურობით მე-10 წუთზეგე ისარგებლეს და სათავისოდ გამოიყენეს უშუალოდ პორტუგალიელი მეკეცლის **პეპეს** შეცდომა, რომელმაც ბურთი პირველპირ **ჰაპიბ ბელაიდის** ფეხზე მოიგერია. 22 წლის ფრანგს შეტევის დაგვირგვინების პრობლემა არ ჰქონია - 1:0. ისე, ამ ეპიზოდში **იკერ კასილიასს** მეტის ბეკეთება შეეძლო...

ცოტა ხანში "რეალმა" კონტრშეტევა განავითარა და **მოამავედ დიარას** ბორეული დარტყმის შემდეგ, "აინტრახტის" მეკარე **ოკა ნიკოლოვმა** "მკვდარი" ბურთი მოიგერია. მერე თამამამა მოეფინა ცენტრში გადაინაცვლა. მიუხედავად იმისა, რომ მატჩი ამხანაგური იყო, გუნდები უზეშთასაც არ ერიდებოდნენ. "რეალის" ფორვარდებს არაფერი გამოსადეოდათ. **რუდ ვან ნისტელროის, რაულსა და არიენ რობენს** "ბოლო ბურთზე" ბევრი ნუნი ჰქონდათ. "აინტრახტის" შეტევებს **ბერნდ შუსტერის** ბიჭები უკბილო კონტრიერიშებით პასუხობდნენ და ამ სიტუაციებშიც, მწვავე მომენტები მხოლოდ მეკეცლებმა, **მიიელ ტორესმა** და გერმანელთა გოლში დადანაშაულებულმა პეპემ შექმნეს.

შესვენების შემდეგ შუსტერმა რამდენიმე მეკეცლა განაბორკეიელა და "რეალის" თამაში მყისვე გარდაიქმნა. თუმცა ესპანურ გრანდს სპასუხო გოლამდე დიდხანს მოუნია ცდამ. ამ გოლში მთავარი როლი მეკეცლაზე შესულმა მოთამაშემმა შეასრულეს. რობენმა მაღალი გადაცემა გაუკეთა **ბავიერ სავიოლას**, რომელმაც თავის მხრივ **რობინო** მოეძახა და ანგარიში ახლო მანძილიდან გათანაბრდა.

შემდეგ "რეალი" ბენალტს ითხოვდა, მეკარე ნიკოლოვის მხრიდან **რაფაელ ვან დერ ვაარტზე** მიმართ ვითომდაც უხეშობისთვის, მაგრამ არბიტრმა პროტესტს ყური არ ათხოვა. მეორე მხრივ, **მიჩელ სალვადოს** უხეშ შეცდომას კი ნალაპ მეორე გოლი და სამეფო კლუბის მარცხი მოაკეთა. ეს მატჩის ბოლო ნამეტზე მოხდა და 2:1-ის შემთხვევაში, "რეალი" ნონასწორობის მეორედ აღდგენას ველარ მოასწრებდა.

ინტრახტი-რეალი 1:1

ინტრახტი: ნიკოლოვი, ოხსი, ბელადიდი, ტუსი, შიბერი, ინამბოი (62. გალინდუ), ერსი (46. ფიჯუ), შტანსბოფერი (62. მეიერი), ტოსკი (80. ჰეილერ), ლიბეროიუოსი (46. ფენონ), ამანაგბიფსი (62. მაშდაეიკა).

რეალი: კასილასი, სერხიო რამოსი (65. მიჩელ სალვადო), პეპე (78. ხავი გარსია), ჰაინეკე (46. მეტეცელფონ), მიგელ ტორესი, ვან დერ ვაარტი (65. იგუანინ), დიარა (46. დელა რედო), გუტი (46. ბაპტისტა), რობენი, რაული (65. სავიოლა), ვან ნისტელროი (46. რობინოო).

გოლები: 1:0 ბელადი (10), 1:1 რობინოო (71)

ფიორენტინა ლიგას მიუახლოვდა

ადრიან მუტუსა და **ალბერტო ჯილარდინოს** გოლებით "ფიორენტინამ" 2:0 მოუგო ჩეხურ "სლავიას" და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპისკენ სწორიზული ნაბიჯი გადადგა. რა თქმა უნდა, ფლორენტიელი კლუბის სალიგო მომავალი ეკერ ბოლომდე არ არის გარკვეული, მაგრამ არ გვგონია, ჩეხებმა სასნაულო მოახდინონ და 3:0 მოიგონ, ან თუნდაც პენალტების სერიამდე მიიყვანონ საქმე. **ჩეზარე პრანდელის** "ფიორენტინა" კლასით ერთი თავით მაღლა დგას "სლავიაზე", რომელიც ოთხი წლის წინ თბილისსა "დინამოს" ლუკმადაც იქცა...

"ჩვენი გუნდის საბრძოლო სულისკვეთება საკმაოდ მაღალია, - თქვა პრანდელიმ ნამატჩევს, - ფეხბურთელებმა ყველა დაკალება ზუსტად შეასრულეს, ამიტომ, ამ მხრივ, უკმაყოფილების საბაბი არ მაქვს".

მასპინძელთათვის სერიოზული კოზირი იყო მუტუს აღრეული გოლი, რომელიც რუმინელმა 30 მეტრიდან საფორმო ჯარიმით გაიგება. "სლავიას" მალევე შეეძლო წონასწორობის აღდგენა, მაგრამ დანიელი მცველი **პერ კროლდრუპი** დროოულად ჩაუნვა **დუშან ვენტოს,** თორემ სიტუაცია ფლორენციელებისთვის კარგს არაფერს მოიტანდა.

პირველ ტაიმში ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა "სლავიამ", რომელმაც ნინა ეტაპისან "ალიანი" გაიგდო, იტალიურ კლუბს სახიფათოოდ შეუტია. რაც შეეხება მასპინძლებს, **ზდრავკო კუჟმანოვიჩმა** ჯერ ჯილარდინოს შეუქმნა საგოლე შანსი, მერე კი თავად სცადა შორი მანძილიდან გაგანა, მაგრამ ამაოდ.

ფლორენციელთა დაწოლა მეორე ტაიმშიც გაგრძელდა. "სლავიის" მეკარე **მარტინ ვანიკამ** "ფიოს" პერეულ მცველსა და ახალწვეულ **ხუან ვარგასს** ("კატანიიდან") სასნაულო ბურთი აუფო. და ის იყო, პრაღელებმა თითქოს ცოტა ხელი გაანძრიეს, რომ ჯილარდინომ მეორედ მეარხა "სლავიას" კარის ბადე. თუმც ტელეგამეორეებმა აჩვენა, რომ "ფიორენტინის" ფორვარდი აშკარა თამაშგარეში იყო.

დარჩენილ დროში "სლავიის" მეკარემ რამდენჯერმე იხსნა გუნდი იმავე ჯილარდინოსა და **ხუან პაბლო ოსვალდოს** საგოლე მცდელობის დრო.უკანასკნელ ნამეტზე კი ვანიკამ ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა, თორემ მუტუ კუთხურიდან შეაგდებდა.

ბოლოს ისევ პრანდელის კომენტარი: *"ჩვენ გვაქვს ორი კვირა, რათა სასპორტ მაგრსთვის საფუძვლიანად მოვემზადოთ. დღეკვანდელმა მეხეკდრამ გვაყენა, რომ ჯერ კიდევ შორს ვართ სასურველი ფორმისგან. ჯილარდინო? მას სრული ნდობა აქვს. ჯიდა სერიოზული ბიჭია და გოლის ალლო" ყოველთვის ჰქონდა.*

გიორგი გელაშვილი

ფიორენტინა (იტალია)-სლავია (ჩეხეთი) 2:0

ფიორენტინა: ფერეი, ძაფრი, დანიელი, კროლდრუპი, ვარგასი (64. ალმორონი), კუჟმანოვიჩი, ფელიპე, გობი, სანტანა, ჯილარდინო (76. პაციონ), მუტუ (76. ოსეადელი).

სლავია: ვანიკა, სეენი, ბრაბეცი, ლაბკა, ეუბანკეი, ოანდი (75. კრაინეკი), მ. იაროლიმი (61. ნენიდ), ტეკოვსკი, სვენტო, ბეერე (53. ბელადიდ), შენკერეკი.

გოლები: 1:0 მუტუ (3), 2:0 ჯილარდინო (57)

მაყურებელი: 32 560

არბიტრი: ჰოვარდ უები (ინგლისი)

გუშინ

სპარტაკი (რუსეთი)-ფენიგმ (უკრაინა) 1:4

გოლები: 1:0 ბაგენოვი (4), 1:1 ბანგურა (28), 1:2 ბილეფსკი (45), 1:3 ბანგურა (46), 1:4 მილეფსკი (85)

ლევსკი (ბულგარეთი)-ბაკუ (ბელარუსი) 0:1

გოლი: 0:1 რეფსკი (60)

შახტარი (უკრაინა)-ფენიგმ (ბოსნია-ჰერცეგოვინა) 2:0

გოლები: 1:0 სრნა (3), 2:0 ბრანდაუ (31)

ანორთოზისი (ავსტრია)-ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) 3:0

გოლები: 1:0 ტოროსიდისი (5-საკ. კარში), 2:0 სოსინი (19), 3:0 ლაბანი (87)

ოლბორგი (დანია)-კაუნასი (ლიტვა) 2:0

გოლები: 1:0 ლუკაშ კაკა (71), 2:0 კუტრტ (86)

ბალთასარი (უკრაინა)-სპიუკა (რუმინეთი) 2:2

გოლები: 0:1 მორენო (4), 0:2 ნიკოლიეკი (13), 1:2 ნონდა (19), 2:2 ნონდა (47)

ბრანი (ბოსნია)-მარსელი (საფრანგეთი) 0:1

გოლი: 0:1 შეორუ (40)

გენეკი (ბულგარეთი)-პარსანელი (ინგლისი) 0:2

გოლები: 0:1 გალასი (63), 0:2 ადებაიორი (82)

ინვერნესი (შოტლანდია)-ვეზერკალა (ლეტონია) 4:0

გოლები: 1:0 ეამორანეზი (7), 2:0 დელ პიერო (26), 3:0 კიელინი (39), 4:0 ლეგორტალეე (90)

ფალკე (ბელგია)-აგლენტიკი (ესპანეთი) 1:0

გოლი: 1:0 პანდერი (30)

გაძეკვნა: ლოპეი (76. აბლეტიკო)

სპარტა (ჩეხეთი)-ეანანთინეიპოსი (საბერძნეთი) 1:2

გოლები: 0:1 კუნერა (24-საკ. კარში), 1:1 კელინი (30), 1:2 სიმაო (59)

პარტიზანი (სერბეთი)-ფენერბაჰჩე (თურქეთი) 2:2

გოლები: 1:0 პაუნოვიჩი (11), 2:0 ბოგუნოვიჩი (14), 2:1 ალეკსი (45-პენ), 2:2 ბეუსა (50)

სტალდერენ (ბელგია)-ლიეფერაკენი (ინგლისი) 0:0

ბიმარაკეში (პორტუგალია)-ბაზელი (შვეიცარია) 0:0

ბარსელონა (ესპანეთი)-ვინლა (პორტუგალია) 4:0

გოლები: 1:0 ეტო'ო (17), 2:0 ჩავი (24), 3:0 ანრი (50), 4:0 ეტო'ო (84)

TV სპორტი

14 აგვისტო, ხუთშაბათი

HTB-ალსი (ფეხბურთი)

06:30 პეკინი 2008.
06:45 პეკინი 2008. წყალბურთი. კაცები. ჯგუფური ტურნირი. აშშ-სერბეთი (LIVE).
07:55 პეკინი 2008.
08:25 პეკინი 2008. ფრენბურთი. კაცები. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-რუსეთი (LIVE).
10:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
10:40 პეკინი 2008.
10:55 პეკინი 2008. ტაეკვონ სრული. ქალები. მრგვალი სტენი. ფინალი (LIVE).
11:50 პეკინი 2008. ნიჩბოსნობა. სლალომი. კაცები. ორადგილიანი. 1/2 ფინალი.
12:55 პეკინი 2008. ანბიკური ჭიდაობა. 84 კგ. 96 კგ. 120 კგ. მე-3 ადგილისთვის. ფინალები (LIVE).
15:20 პეკინი 2008. ფარიკაობა. ქალები. ხმალი. გუნდური პირველობა. ფინალი (LIVE).
16:00 პეკინი 2008. კალათბურთი. კაცები. ჯგუფური ეტაპი. აშშ-საბერძნეთი (LIVE).
17:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
18:00 პეკინი 2008. ფრენბურთი. კაცები. ჯგუფური ეტაპი. ბუენოსაიესი-აშშ (LIVE).
19:40 პეკინი 2008. ჩოგბურთი. ფლის მატჩი.
21:15 პეკინი 2008. ხელბურთი. კაცები. ჯგუფური ეტაპი. დანია-რუსეთი.
22:35 პეკინი 2008. კალათბურთი. კაცები. ჯგუფური ეტაპი. ლიტვა-რუსეთი.
00:15 პეკინი 2008. სპორტული ტანვარჯიში. კაცები. აბსოლუტური პირველობა. ფინალი.
02:45 პეკინი 2008. ძიუდო. ქალები - 63 კგ. კაცები - 81 კგ. მე-3 ადგილისთვის. ფინალები.
04:15 პეკინი 2008. ნიჩბოსნობა. სლალომი. კაცები. ორადგილიანი. ფინალი.
05:25 პეკინი 2008.
05:55 პეკინი 2008. ფრენბურთი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. ალეირია-რუსეთი (LIVE).

SPORT 1 (უკრაინა)

09:55 სპორტდოსიე. კრიკეტი.
10:25 ძრაგების სამყარო. ტელეტურნირი.
10:50 პეკინი 2008.
11:55 პეკინი 2008. მშვილდოსნობა. ქალები. ფინალები (LIVE).
14:25 პეკინი 2008. ცურვა. ფინალები.
16:45 პეკინი 2008.
17:35 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
18:05 პეკინი 2008. კალათბურთი. კაცები (LIVE).
20:15 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
20:40 პეკინი 2008.
21:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. III საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი. სპარტა-ფენერბაჰჩე (კ).
22:00 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. ვასკო და გამა-პალმეირასი.
23:45 პეკინი 2008. ანტიკური ჭიდაობა.. ფინალები.
03:40 პეკინი 2008. კალათბურთი. კაცები.
05:55 პეკინი 2008. ცურვა. ფინალები (LIVE).
06:55 პეკინი 2008. სპორტული ტანვარჯიში. კაცები. აბსოლუტური პირველობა. ფინალი (LIVE).

EUROSPORT

08:00 ოლიმპიური ამბები.
08:15 პეკინი 2008. სპორტული ტანვარჯიში. კაცები. აბსოლუტური პირველობა. ფინალი.
09:30 ოლიმპიური ამბები.
09:45 პეკინი 2008. ცურვა. ფინალები.
11:15 ოლიმპიური ამბები.
11:30 პეკინი 2008. აკადემიური ნიჩბოსნობა. 1/2 ფინალი.
12:45 პეკინი 2008. ნიჩბოსნობა. სლალომი. კაცები. ფინალი.
13:45 პეკინი 2008. ცურვა. ფინალები.
14:30 პეკინი 2008. ცურვა. ნინასწარი ეტაპები.
16:45 პეკინი 2008. კრიკი. ნინასწარი ბრძოლები.
18:00 პეკინი 2008. კალათბურთი. კაცები. ჯგუფური ეტაპი.
19:00 მისია - პეკინი.
19:15 პეკინი 2008. კალათბურთი. კაცები. ჯგუფური ეტაპი.
20:00 პეკინი 2008. სპორტული ტანვარჯიში. კაცები. აბსოლუტური პირველობა. ფინალი.
21:30 პეკინი ექსპრესი
22:30 მისია - პეკინი.
22:45 პეკინი 2008. ცურვა. ფინალები.
23:45 პეკინი 2008. სპორტული ტანვარჯიში. კაცები. აბსოლუტური პირველობა. ფინალი.
01:00 პეკინი ექსპრესი
02:00 პეკინი 2008. ცურვა. ფინალები.
03:15 პეკინი 2008. აკადემიური ნიჩბოსნობა. 1/2 ფინალი.
04:00 პეკინი 2008. სპორტული ტანვარჯიში. კაცები. აბსოლუტური პირველობა. ფინალი.
05:55 პეკინი 2008. ცურვა. ფინალები (LIVE).

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები

სპარტა-ალბერია	2:2
ჯილონა-ალკმაარი	3:1

ინგლისი

ლიგის თასი

ქოვენთრი-ალდერშოტი	3:1
ნორიჩსიტი-მორეკამბი	4:0
შეფილდი-ალრუმ ვეილი	3:1
უიმბლდონ-ბირმინგემი	0:4

ბერმანია

III ბუნდესლიგა

დინამო (დრ)-ვერლი	1:2

ბელგია

II დივიზიონი

ლიერსე-დუნერკი	0:0
ჯამე-ლიერსი	1:2
ნამენი-ბრინენი	1:2
ოლ. შარლეროუ-რონსე	0:3
ვაასლანდ-ვირტონი	2:0
ანდენრეხტი-ეუფენი	3:0
ბრიუსელი-ბეეერენი	1:0
ოსტენდი-ბუროვ	3:3
ჰე

ᲠᲔᲐᲚᲘ

ᲒᲐᲓᲐᲛᲘᲮᲐᲓᲔᲗ 5 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲠᲩᲔᲑᲘ

ᲠᲝᲜᲘᲜᲘᲛᲘ ᲠᲔᲐᲚᲡ ᲣᲚᲢᲘᲛᲐᲢᲣᲛᲘ ᲬᲐᲣᲧᲔᲜᲐ. ᲑᲐᲞᲢᲘᲣᲨᲢᲐᲛ ᲠᲝᲜᲐᲡ ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘᲜ ᲛᲝᲡᲝᲮᲝᲕᲐ. ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲘ ᲩᲐᲫᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲡ

ᲣᲜᲓᲐ ვივარაუდოთ, რომ **რობინიო** კვლავ რჩება "ჩელსის" სამიზნედ, ვიდრე სამეფო კლუბი მატერიალურ "პრობლემას" არ გადაუჭრის. რამდენიმე დღის წინ სამეფო კლუბმა თითქოს პირობა დადო, რომ ბრაზილიელი ფორვარდი მთავალ სეზონისაც "სანტიაგო ბერნაბეუზე" გაატარებდა, მაგრამ სიტუაცია იცვლება. რობინიო კლუბისადან ხელფასის გაზრდას ითხოვს. უფრო სწორად, ეს არის ულტიმატუმი, რომლის შინაარსიც ასეთია: გადამიხადეთ წელნახევრში 5 მილიონი ევრო და დავრჩები.

ცოტა ხნის წინ ესპანურმა გიგანტმა "ჩელსის" მიერ შეთავაზებული 25 მილიონი ევრო (37.5 მილიონი დოლარი) არაფრად ჩააგდო. იქნებ, დღეს ნანობს კიდეც. რობინიომ გარკვევით უთხრა "რეალის" ხელმძღვანელობას, რომ სურს გადავიდეს "სტემფორდ ბრიჯზე", სადაც მისი თანამემამულე **ლუიმ ფელიპე სკოლარი** მუშაობს.

24 წლის ბრაზილიელს სამეფო კლუბი ამჟამად 2.1 მილიონ ევროს იღებს. ძნელი დასაჯერებელია, რომ რობინიოს ჯამაგარი 100 პროცენტზე მეტით გაიზარდოს. იქედან, ეს თავად ფეხბურთელსაც ესმის. ერთადერთი, რაზეც "რეალი" თანხმდა, 3.5 მილიონი ევროა. ამდენად, რობინიოს ნასვლა რეალურია, თუმც არც ისაა გამორიცხული, რომ ბოლო შეთავაზებას დათანხმდეს, დათანხმდეს იმიტომ, რომ "ჩელსის" მხრიდან რობინიოს შეეძინის სურვილი ალარ გაუღერებუნდა.

პოპულარული გამოცემა as ამტკიცებს, რომ რობინიოს ნასვლის შემთხვევაში, "რეალი" **დავიდ ვილიას** საკითხს დუბრობნდება. ეს არ იქნება ადვილი

ᲓᲝᲛᲔᲜᲔᲙᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲠᲐ

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲘᲫᲐᲮᲔᲚᲘ ᲜᲐᲡᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲠᲔᲘ?

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ნაკრებში ახალი ეპოქა იწყება. 20 აგვისტოს ამხანაგური მატჩისთვის, რომელშიც ფრანგები შეედეთს (გიოტბორგში) ხვდებიან, **რაიმონდ დომენეკი** სერიოზულად გადახალისებუნ გუნდს ამზადებს. მოსიე რაიმონი 20-კაციან შემადგენლობას მოუყრის თავს. როგორც მოსალოდნელი იყო, ახალ გუნდში ადგილი არ ექნება 35 წლის მეკარე **გრეგორი კუპეს**. საინტერესოა, რომ დომენეკმა არ უხმო "ფიორენტინის" გოლკიპერ **სებასტიან ფრეისაკ**, რომელსაც რეკომენდაცია თვით **მიშელ პლატინიმ** გაუნია. "სამფეროვანთან" მწვრთნელი აქცევნს "მარსელის" მეკარე **სტიე მანდანდაზე** გააკეთებს. მეორე კიპერი იქნება ახალგაზრდა **უეო ლორინი**, რომელსაც ამ ზაფხულს "მილანში" გადასვლის შანსი ჰქონდა.

ახალი სახეა "რენის" მარჯვენა მცველი **როდ ფან

, ისევე, როგორც "როსონერიდან" "პორდოში" ახლახან გადასული ნახევარმცველი **იოან გურკუფი. თუმც ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ფანის გამოძახება მხოლოდ **ვილი სანიოლისა** და **ფრანსუა კლერის** ტრავმებითაა გამოწვეული.

დომენეკმა გამოიძახა ნახევარმცველი **პაოლმ ბენ აროგა**, რომელსაც ევრო 2008-ზე თავის გამოჩენის საშუალება არ მისცეს, სამაგიროდ, ბრწყინვალედ ითამაშა საფრანგეთის ჩემპიონატის სასტარტო მატჩში. სიახლეა **ფილიპ მექსეს** ხმობაც. ექსპერტები ეარაუდობენ, რომ "რომას" ცენტრალური მცველი ფეხბურთიდან ნასული **ლილიან ტურამის** შემცვლელად განხილება.

დომენეკმა სიაში არ მეიყვანა "პარსელონის" მარცხენა მცველი **ერიკ აბიდალი**, რომელიც მესაზრვეი ციკლის პირველ მატჩს დისკვალიფიკაციის (უეფრობის ჩემპიონატის ჯგუფფურ ეტაპზე

ᲛᲔᲪ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ

ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲝᲚᲐ ᲔᲢᲝ'ᲡᲗᲡ ᲕᲔᲠ ᲔᲚᲔᲕᲐ

ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲔᲚᲔᲑᲐ საბოლოოა: **ᲮᲝᲡᲔ ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲝᲚᲐ** აცხადებს, რომ **სამუელ ეტო'ო** "ბარსელონაში", მინიმუმ ერთ სეზონსაც გაატარებს. კამერუნელი ფორვარდი არაერთი კლუბის სამიზნე იყო და აბარგებასაც აპირებდა, მაგრამ საკვირველია, რომ კატალონიელთა ახალმა მწვრთნელმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ფასეული მოთამამეს შეენარჩუნებინა. საკვირველი კი - იმიტომ, რომ გვარდიოლამ თავის პირველსავე პრესკონფერენციაზე გაანაცხადა, **რონალდინიო, დეკუ** და ეტო'ო ჩემს გეგმებში არ ჯდებიანო.

მწვრთნელის ამ განცხადების შემდეგ, სამუელი თითქოს მზად იყო, ეგზოტიკური ტრანსფერის პირობები განეხილა და უზბეკეთშიც კი გაემგზავრა. რა თქმა უნდა, ამ ქვეყნის ყველაზე მდიდარ კლუბ "ჟურუეჩიში" მისი გადასვლა არარეალური იყო, მაგრამ დღის წესრიგში იდგა "მილანის", "ინტერის", "იუვენტუსისა" და "ვალენსიის" ფრიად მომხიბლავი ნინადადებები.

საინტერესოა, რა შეიცვალა გვარდიოლას ის ფბადაღებული პრესკონფერენციის შემდეგ? საქმე ისაა, რომ ნინასასეზონო პერიოდში ეტო'ო საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. გვარდიოლა მოხიბლულ დარჩა იმითაც, რომ კამერუნელი გუნდს ერთგულებას უდასტურებს. როგორც ჩანს, გვარდიოლას დამოკიდებულებაც ამან შეცვალა:

"სამუელ ეტო'ო ჩვენთან დარჩება, რადგან ეს მისი სურვილია და აბსოლუტურად ემთხვევა ჩემს განწყობილებასაც. ვიცი, რაც ვთქვი პირველ დღეს. ამით ეტო'ოს მოტივაცია გაი ზარდა. ამ ენაზე მისი თამაში მოგლანდიასა და შეერთებულ შტატებში. ამის შემდეგ, გადავწყვიტე, რომ ის "ბარსაში" უნდა დარჩენილიყო. სამუელი უსაზღვრო ტალანტის მქონე ფეხბურთელია და "ბარსას" მომავალშიც დიდ სამსახურს გაუწევს".

ᲑᲔᲠᲑᲐᲢᲝᲕᲘᲡ ᲝᲚᲓ ᲤᲠᲔᲤᲝᲠᲓᲘᲡ ᲣᲐᲮᲚᲝᲕᲔᲑᲐᲡ...

ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲗ, ამ კვირის ბოლამდე **დიმიტარ ბერბატოვმა** "მანჩესტერ იუნაიტედში" ამოყოს თავი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბულგარელ ფორვარდს, ეგვე, პრემიერლიგის პირველსავე ტურში, "ნიუკასლთან", ჩემპიონთა მთავარით დებიუტიც ჰქონდეს. ბრიტანეთ პრესას თუ დავუჯერებთ, "ტოტენჰემმა" გადაწყვიტა, გაყიდოს თავისი მთავარი დამრტყმელი ძალა მას მერე, რაც "იუნაიტედმა" "მამლებს" 28 მილიონი ევროსაც ქა შესთავაზა. თავის დროზე, "მენოუს" ნინადადება 20 მილიონი იყო, რაზეც "ტოტენჰემმა" ქეა ააგდო და თავი შეუფარა - 30 მილიონს ფეხს არ მოვუცლეთო. როგორც ჩანს, ლონდონელები კომპრომისზე ნავიდნენ.

მოუხედავად ამისა, "მანჩესტერის" წარმომადგენლებსა და "ტოტენჰემის" აღმასრულებელ დირექტორ **დეიდ ლევის** შორის მოლაპარაკებები მომდევნო 48 საათში კიდევ გაიმართება. ბერბატოვის შესაძლო ნასვლა იმისი ნიშნია, რომ "მამლები" ახალი ფორვარდის ძიებას შეუდგებიან. მოგეხსენებათ, ცოტა ხნის წინ მათ **რობი კინი** "ლივერპულს" მიყიდეს. სპეციულაციების თანახმად, "ტოტენჰემში" შეიძლება აღმოჩნდეს "მანჩესტერ იუნაიტედის" ფრანგი ფორვარდი **ლუის საა**. ეს გარიგების საფასურს მკვეთრად შეიკლის. თუკი ამგვარი გაიცვლა მართლაც შედგა, მაშინ "ეშმაკებს", თანხის სახით, მხოლოდ 10-12 მილიონი გირვანქა ექნებათ გადასახდელი.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ

იტალიასთან გაძლეების გამო) მიზეზით გამოტოვებს. ეს იმას ნიშნავს, რომ შეედეთთან მატჩში მარცხენა ფლანგს მანჩესტერელი **პატრის ევრა** მიიგდებს. ამ ფონზე, მეტად უცნაურია **სამირ ნასრის** არყოფნა, რასაც ფრანგების თავკაცმა ბანალური პასუხი გასცა - ნაკრების კარი ყველასათვის ღიააო. ალბათ, ეს ეხებოდა ფრეისაკს.

გარდა მოთამამეებისა, დომენეკი ადასტურებს სიახლეს სამნწრონელო შტაბშიც, სადაც მუშაობას შეუდგება მსოფლიოს ჩემპიონი **ალენ ბოგოსიანი**. როგორც ადრე ვივარაუდეთ, "მარსელის", "პარმასა" და "ნაპოლის" ყოფილი ნახევარმცველი ნაკრების ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი იქნება. მანამდე, დომენეკის თანაშემწე **პიერ მანკოსესის** გაშვება იგეგმებოდა, თუმც მოსიე რაიმონის დაკინებული თხოვნით, მისი ერგიული ასისტენტი თანამდებობას ინარჩუნებს. მანკოსესი ვარჯიშს ბოგოსიანთან ერთად ჩაატარებს, მთავარი მწვრთნელი კი დამკვირვებლის როლში იქნება. ახლა კი შემადგენლობა, რომელსაც დომენეკი შეედეთთან მატჩისთვის მოამზადებს:

მეკარეები - სტიე მანდანდა (მარსელი), უგო ლორინი (ლეონი);

მცველები - ფან-ალენ ბუმსონგი (ლეონი), ბაკარი სანია (არსენალი/ინგლისი), ეიელიმ გალასი (არსენალი/ინგლისი), პატრის ევრა (მანჩესტერ იუნ/ინგლისი), როდ ფანი (რენი), ფილიპ მექსე (რომა/იტალია), ჟაელ ალინი (არსენალი/ინგლისი);

ნახევარმცველები - მატიო ფლამინი (მილანი/ინგლისი), ლასანა დიარა (პორტსმუთი/ინგლისი), ჟერემი ტულალანი (ლეონი), ფლორენტ მალუდა (ჩელსი/ინგლისი), ჰაუმენ ბენ არფა (მარსელი), ალუ დიარა (ბორდო), იოან გურკუფი (ბორდო), სიდნი გოუე (ლეონი);

თავდასხმელები - ტიერი ანრი (ბარსელონა/ესპანეთი), ნიკოლა ანელკა (ჩელსი/ინგლისი), ჭარმ ბენზეტა (ლეონი).

ეს ის გუნდია, რომელზეც ახალი შეარჩევი ციკლის სიმმეზე გადაიკვლის. შეძლებს თუ არა დომენეკი კონკურენტუნარიანი კრებული ჩამოყალიბებას, ამას მომავალი გვიჩვენებს. მანამდე კი შეგახსენებთ, რომ ფრანგები საკვალიფიკაციო ციკლს 6 სექტემბერს, ავსტრიასთან (სტუმრად) და 10 სექტემბერს სერბეთთან მატჩებით იწყებს.

ᲒᲕᲘᲠᲘᲜᲘ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲐᲓᲐ
ᲒᲘᲠᲘᲜᲘ ᲑᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲛᲐ

ᲐᲛᲘᲡ ᲓᲠᲝ ᲘᲧᲝ?

ᲐᲓᲠᲘᲐᲜᲘ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲨᲐᲕᲓᲐ

ᲟᲝᲖᲔ ᲛᲝᲠᲘᲜᲘᲝᲡ საფიქრალი გაუჩნდა. **ადრიანმ**, რომელიც ჩინებულ ფორმაშია, სერიოზული ტრაგმა მიიღო. პორტუგალიელი მწვრთნელის ხელში "იმპერატორს" რენესანსის პერიოდი უდგას. მან შესანიშნავი მთამეკვლდიკება დატოვა. "ბაიერნთან" "მატჩში, ხოლო ამსტერდამის ტურნირზე "ინტერმა" "აიაქსი" სწორედ მისი გოლით დაამარცხა. "ნერაზურის" ხელმძღვანელთას გაუჭნდა იმედი, რომ ძველი ადრიანო ბრუნდება.

ბრაზილიელმა ტრავმა ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე მიიღო. მას ბარძაყის ძვალი აქვს დაზიანებული. 26 წლის ფორვარდს ტესტებში ჩაუტარეს. პირველადი მონაცემებში დამაიმედებელი ნამდვილად არ არის. დღეს ადრიანო სახელგანთქმულ დასტაქარს **ფრანკო კომბინს** მიაკითხავს. სავარაუდოდ, კომბის დასკვნა არ იქნება ადრიანოსთვის შვების მომტანი. ჯერჯერობით, ძნელი იმის თქმა, რამდენი გაუცდება "ინტერის" ერთ-ერთ მთავარ დამრტყმელ ძალას, თუმც ის უკვე ვიცით, რომ მოურნიოოს გეგმების შეცვლა მოუნევს.